ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ქართული ცირკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ქართული ცირკი

ბათუმი

2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში საუბარია ქართული ცირკის გამოჩენილ მესვეურებზე, იმ ვირტუოზებზე, რომლებიც სახელგაჩენილნი ამდენდნენ მსოფლიო ცირკის არენაზე. მსგავსი სახის ნაშრომი ქართული დასის დაფუძნების დღიდან, 1958 წლიდან მოყოლებული, არ გამოცემულა (თუ არ ჩავთვლით მანამდე ორი წლით ადრე გამოცემულ ვ. კობელის წიგნს „ცირკის ქართველი ოსტატები"), ამდენად, ამ წიგნის დიდი დატვირთვა გააჩნია აწ მოშლილი უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ცირკის დასის აღსადგენად. ვფიქრობთ იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს თბილისის სავსტრადო-საცირკო სასწავლებლის სტუდენტებსაც და შეავსებს იმ არსებულ ვაკუუმს, რასაც ქართული ცირკის პოპულარიზაცია ჰქვია. იგი ხომ ჩვენი კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ბავშვთა და მოზარდთა სანუკვარი გასართობი, ხელოვნების უმდიდრესი კერაა.

ჯემალ ხოფერია,
საქართველოს მწერალთა
კავშირის წევრი.

რედაქტორი – რევაზ მხატვარი

წიგნი გამოიცა არჩილ ცეცხლაშვილის თანადგომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

1994 წლის ზაფხულში ბათუმს თბილისის საცირკო დასი სტუმრობდა. სახტად დავრჩი, როდესაც დასში ჩემი სტუდენტობისდროინდელი, ზუგდიდელი – ალიოშა ჭქოტუა ვიხილე. და თანაც, ჯამბაზის როლში, აქვე ვიტყვი ბარემ: წარმოდგენის შემდეგ აღფრთოვანებული ვიყავი მისი თამაშით. მას პარტნიორობას უწევდა „ჭიჭი" – ანზორ ხოჯაშვილი, ქართველი და არა მარტო ქართველი პუბლიკის უსაყვარლესი მსახიობი. ჩემი მშვიდი, მუდამ აუღელვებელი, და მეტად უწყინარი მეგობარი პირველად ვიხილე ასეთ ცეცხლოვან ამპლუაში, თუმცა რა გასაკვირია, როცა მისი პარტნიორი თვით ვუნლანია და ცეცხლოვან ლაკახაც აფრქვევს მისი თვალებიც. ასე, ამგვარად მაქვს აღქმული „ჭიჭის" თამაში ცირკის არენაზე. ალიოშაც ხომ თავის დროზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ ტანვარჯიშში, აგრეთვე საქართველოს აბსოლიტური ჩემპიონიც იყო და სპორტის ოსტატის ტიტულსაც დირსელად ატარებს.

ბათუმში გამართულ სპექტაკლებზე უსახსრობის გამო ხალხი კანტი-კუნტად თუ დადიოდა, კარგად მოგეხსენებათ რა დროც იყო, ქვეყანაში ყველაფერი ჩანაგდებოდა, სუფევდა სრული განუკითხაობა და ცირკშიც სასიარულოდაც ადარავის ეცალა. და ისხდნენ მსახიობებიც უსახსროდ...

მე მათ დახმარება აღვუთქვი, რომ ბილეთებს ნაცნობობით წარმოებებში დაკარიგებდი, ასეც მოხდა: მე და თბილისის ცირკის ადმინისტრატორ – აწ განსვენებულ აკთანდილ ჭელიძესთან ერთად მათი ფურგონიანი ლურჯი „მოსკვიჩით" დაველაშქრეთ ბათუმის წარმოებები, რომელიც მუშაობდა იმ დროს და სადაც ნაცნობები მეგულებოდა. ცოტას ვდელავდი, მაგრამ ბოლოს გამიმართლა: საში დღის მანძილზე ბათუმის ცირკში ანშლანგი იყო. ბათუმის ცირკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორმა ცხონებულმა სერგო კუნჭულიამ არ ვიცი ხუმრობით, არ ვიცი სერიოზულად მითხრა: „მოდი, მაინც პენსიაზე ხარ და ჩემთან იმუშავე ადმინისტრატორადო"...

სანაცვლოდ, გასაღებული ბილეთების შემოსული თანხიდან გარკვეული სოლიდური თანხა, ასე ვთქვათ პროცენტი შემომთავაზა დასმა, საქმე საქმეაო... ამის სანაცვლოდ მათ ვოხოვე გაემართათ ბათუმლებისთვის უფასო წარმოდგენა. 11 საუნისს თორმეტი საათისათვის ადგილობრივი გაზეთებით და ტელევიზიით გამოცხადდა თბილისის ცირკის საქველმოქმედო წარმოდგენა. ხელი შეგვიწყო და გაგებით შეხვდა ამ დონისძიებას ბათუმის ცირკის დირექტორი, აწ განსვენებული ბატონი სერგო კუნჭულიაც.

რა დამავიწყებს იმ დღეს... ბავშვებისა და მოხუცების მხიარულ სახეებს... უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, ისე დავტოვე ცირკის შენობა, რომ ალიოშაც არ მინახავს. სახლისაკენ ფეხით გავეშურე... ვხარობდი ამ დღით, მახარებდა ისიც, დასის მსახიობებს ცოტათი რომ გაუმაროე ხელი და მათთან დავმეგობრდი, რომელიც დღემდე გრძელდება... დასმა მე დიდი სიხარული და სიამაყე შემძინა, რითაც დიდი მადლიერი ვარ.

ამ წიგნის დაწერის იდეაც ალიოშასთან არის დაკავშირებული: 2003 წლის ოქტომბრის ბოლოს თბილისში ვიმყოფებოდი, სადაც ჩემი მომდევნო წიგნი „მამულო ჩემო საუნჯევ" იბეჭდებოდა. ჩასვლისთანავე ალიოშაც ვინახულე, როგორც ჩვეულებრივ ყოველთვის ვაკეთებ ხოლმე. მან ცირკში წამიყვანა. სპექტაკლს უკრაინიდან ჩამოსული დასი მართავდა, რომელშიც ალიოშაც ღებულობდა მონაწილეობას „ჭიჭისთან" და „ძუკუსთან" – მერაბ დანელიასთან ერთად. მან სიამაყის გრძნობით დასძინა: „ნახავ როგორი გახდა ჩვენი ცირკის შენობაო". უნდა ვაღიარო, რომ მე პირველად მივდიოდი თბილისის განახლებულ ცირკში და ამით ორმაგი სურვილი დამეუფლა მისი ნახვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ცირკთან ასასვლელ კიბეებს მიუახლოვდით, ცირკთან ქუჩაზე მშობლებისა და ბავშვების ხიმრავლე იყო. ალიოშა იქვე კიბის წინ ჩამომჯდარ წვრილმანებით მოვაჭრე ხანშიშესულ მამაკაცს მიუახლოვდა და გადაკოცნა. მოიკითხა, როგორც მას სჩვევია ხოლმე დიდი სითბოთი და გაეცალა. კიბეებს რომ ავუყვეთ, მითხრა: – „ეს კაცი ლექსო მჭედლიშვილია – საქართველოს სახალხო არტისტი, ერთ დროს ქართული ცირკის წამყვანი მსახიობი იყო, ახლა კი ასე ირჩენს თავს", სევდიანად წარმოთქვა ალიოშამ. ცოტაც გავიარეთ და ისევ შემეხმიანა: – „ამხელა საქართველოს ისტორია გაგილექსია და ჩვენ ცირკზეც დაგიწერია ბარელამ ისტორია, ხელოვნების ამ უშიშარ და გამბედავ ადამიანებზე". პასუხად არაფერი მითქვამს. მიველით მის გასახდელში, იქ კი „ჭიჭი" ვნახე მის მეუღლესთან ერთად და „პატარა ძუკუსაც" – მერაბ დანელიას გავეცანი.

მეორე დღეს მე ალიოშას თანხმობა განვუცხადე წიგნის დაწერის შესახებ, მას ძალიან გაუხარდა და ამასთან დაკავშირებით მიველით ცირკში, სადაც გამაცნო ქალბატონი ნანა მელქაძე, ბატონი ედუარდ (შიკე) ფარსადანიშვილი და სხვა მსახიობები, მოგვიანებით გავეცანი ქალბატონ ლუდმილა რატიანსაც, – მოსკოვის ცირკის მსახიობს. – „უჩინმაჩინის ქუდის" ატრაქციონის წამყვანს და ხელმძღვანელს, ცნობილი მსახიობის – ოთარ რატიანის ქალიშვილს. ხანდრო თუდიაშვილს, ალექსანდრე დაშევსკის და მის შვილს – დენისს.

მათ წიგნთან დაკავშირებული წამოწყება გულთან მიიტანეს, ქალბატონებმა ნანამ და ლუდმილამ ამასთან დაკავშირებით რეცენზიებიც მომაწოდეს და მეც უურნალ-გაზეთებიდან მოპოვებული რეცენზიებით, ცირკის მესვეურებთან საუბრებზე დაყრდნობით შევეცადე ამ წიგნის დაწერა. წიგნზე მუშაობა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგასრულე, ქალბატონმა ლუდმილა რატიანმა ყველას თანდასწრებით მისი დაბეჭდვა მოსკოვში აღმოთქვა, რაზეც მოკრძალებული ვუარი უთხარი... ეს უარი განპირობებული იყო იმით, რომ დარწმუნებული ვიყავი ქართული ცირკის შესახებ წიგნის გამოცემას პრობლემა არ შეექმნებოდა, მაგრამ მიუხედავად მრავალი ცდისა ვერ შეგძელი ამ წიგნის გამოცემა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გაეცნო აღნიშნულ პროექტს და 2004 წლის 22 დეკემბრს წერილით (№014/2769-6) მიმართა ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდს. წერილში ნათქვამი იყო – „რომ უკვე ორმოცდაათი წელი მსგავსი ნაშრომი არ გამოცემულა. სამინისტრო მხარს უჭერს აღნიშნულ პროექტს და მოგმართავთ თხოვნით, შეძლებისდაგვარად გაუწიოთ დახმარება ავტორს წიგნის გამოცემაში."

აღნიშნულ წერილზე 2005 წლის 27 ივლისს მივიღე წერილობითი (№ 232), პასუხი, სადაც დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდის დირექტორი, ბატონი – პ. ჩახნაშვილი იუწყება: – „რომ ფონდის 2005 წლის სამუშაო პრიორიტეტებში შედის მხოლოდ ჯანდაცვის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები. ფონდმა დროებით შეაჩერა ყველა სხვა მიმართულებით გრანტების გაცემა, რის გამოც ვერ დავაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნას დაფინანსების მიღების შესახებ." მოკლედ, წიგნის გამოცემას უარი ეთქვა... თუმცა აქვე მინდა დავძინო რომ დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ცირკისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაში უადრესად დიდი წვლილი მიუძღვის ბიზნესმენ, აწ გარდაცვლილ – ბატონ ბადრი პატარკაციშვილს. ის 2003 წელს მოევლინა პატრონად. გახდა ცირკის აქციების უმეტესი ნაწილის მფლობელი და არა მგონია ბატონი ბადრი წერილს გასცნობოდა და თხოვნა გულთან არ მიუტანია...

2004 წლის 22 სექტემბერს – ამავე ფონდს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური თხოვნით წერილობით მიმართეს ქართული ცირკის დახის მსახიობებმაც, რომელიც დღემდე უპასუხოდ დარჩა...

ამას წინათ თბილისში ყოფნისას ჩემმა მეგობარმა – ალეთაშამ წიგნის ბეჭდი მოიკითხა, მეც ალეუთქვი, რომ უახლეს დროში დავუბრუნდებოდი ამ საკითხს...

წიგნში, რომელიც დაიწერა სახალხო არტისტების: – სანდრო თუდიაშვილის, ალექსანდრე მჭედლიშვილის, საქართველოს დამსახურებული არტისტების – ნინა მელქაძის, ლუდმილა რატიანის, ედუარდ ფარსადანიშვილის და სხვა ცნობილი მსახიობების მოწოდებულ მასალებზე და მოგონებებზე დაყრდნობით ასახულია ქართული ცირკის ისტორია, მისი დაარსების დღიდან. ქართველი არტისტები რომლებიც მსოფლიო ცირკის არენაზე ახდენდნენ სასწაულებს, მერწმუნეთ დღის სინათლე რომ ვერ იხილოს, მართლაც დასანანი იქნება, არადა იმ ხალხის წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი, რადგან ჩემს ბავშვობაში ათასობით მატარას მიანიჭეს დიდი სიხარული, რითაც ბავშვობა გაგვილამაზეს.

ეხელმძღვანელობ ნათქვამით – „ოეიწყებ წარსულს კარგად მომავალს" არ აგვიხდეს მეოქი და გადავწყვიტე ჩემი ძალებით წიგნის გამოცემა, რათა ვალი მოვიხადო ამ ხალხის წინაშე. ამდენად წიგნის სრულყოფაზე პრეტენზია არ გამაჩნია.

წიგნის გამოცემის მიზანია, რომ ქართული ცირკის მიმართ, ქართულ საზოგადოებაში ინტერესმა გაიღვიძოს. ხელოვნების ამ მნიშვნელოვან დარგს აღორძინება სჭირდება, ეს კი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ცირკზე

მიმზიდველი, გასაოცარი, ზოგჯერ საშიში და ამასთან მხიარულია გაბედულთა ხელოვნება. ცირკის ოსტატები მიმზიდველი არტისტები არიან, რომლებიც ქმნიან ორიგინალურ ნომრებს, გვიჩვენებენ გამბედაობას, ვაჟკაცობას, ადამიანის სულის სიმტკიცეს, შეუპოვრობას, წარმოგვიდგენენ ხსეულის სიდამაზეს, მოქნილობას, გამომგონებლობასა და მდიდარ ფანტაზიას.

ცირკი მაყურებელს თავისი საკუთარი ენით ელაპარაკება — მახვილი ენით, იმიტაციის ენით, ხაზგასმული კონტრასტებით, თავბრუდამხვევი ილეთებით, პარადოქსული მოულოდნელობით, ათასფერი შუქით, გამაძხნევებელი მუსიკით, სწრაფი ტემპით. არც ერთი სხვა ხელოვნებას არ ძალუძს მაყურებელს ელაპარაკოს ამ ენაზე.

ც ი რ კ ი — საერთაშორისო მოვლენაა და ჯერჯერობით დაუდგენელია თუ სახელდობრ რომელ მხარეში წარმოიშვა იგი პირველად. იგი ლათინური სიტყვაა და წრეს ნიშნავს, ამიტომაც არის საცირკო არენა ყოველთვის წრიული.

ისეთი ცირკი კი, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, სათავეს იღებს საფურგუნო წარმოდგენებიდან, რომლებიც მე-XVIII საუკუნის დამდეგს იმართებოდა ინგლისში. აკრობატებისა და ილუზიონისტების დასი ერთი ქალაქიდან მეორეში ფურგონის საშუალებით გადაადგილდებოდა და ამაგე ფურგონში მართავდა წარმოდგენებს. საცირკო ნომრებს, ძირითადად, ბაზრობებსა და გამოფენებზე უჩვენებდნენ, იქ, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა. ბილეთები არ იყიდებოდა და ფიქსირებული გადასახადი არ არსებობდა, თუმცა წარმოდგენის შემდეგ დასის ხელმძღვანელი ფულის ასაკრეფად ქუდით ხელში ჩამოუვლიდა ხოლმე მაყურებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკმა დაახლოებით 1860 წლიდან მიიღო დღეგანდელი სახე. მისი მანეჟი წარმოადგენს წრიულ საწარმოო მოედანს და დიამეტრიც განისაზღვრება ცამეტი მეტრით. მანეჟის ფორმა უცვლელია. ყველა თანამედროვე ცირკის მანეჟი ერთნაირია თავისი განზომილებით. ცამეტმეტრიანი მრგვალი მანეჟი მეტად უმნიშვნელო გადახრებით, ერთნაირად დაკანონებულია ყოველ ქვეყანაში და შეადგენს თანამედროვე ცირკის პირობით მოედანს. წრიული ფორმა კი გამოწვეულია საცხენოსნო მუშაობით. ცხენოსან მუშაობთა რეპერტუარი, რომელიც უპირატესად სრულდება ცხენზე დგომით, რბენის დროს არ შეიძლება შესრულდეს არც კვადრატში, არც ოვალში, რადგან ხელს შეუშლის კუთხეები. მხოლოდ წრესა და წრიულ ბრუნვას შეუძლია უზრუნველყოს ცხენის იხეთი სვლა, რომელშიც ცხენოსანი მოჯირითეები ისე უნდა იყვნენ დარწმუნებულები, როგორც ქრონომეტრის მუშაობაში. უნდა დავასკვნათ, რომ თანამედროვე ცირკი შეიქმნა მაშინ, როდესაც დაისახა და დამტკიცდა მისი საწარმოო წრიული მოედანი არა მოვარჯიშეთა, ეონგლიორთა და კლოუნთა მოთხოვნით, არამედ ცხენოსანი მუშაობისათვის (მოჯირითეებისათვის).

პირველი ცირკის მსგავსი სანახაობა პირველად ძველ რომში დაარსდა, არაყრით წააგავდა დღეგანდელს. ის წარმოადგენდა ტრიბუნებიან, ელიფსურ არენას. წარმოდგენები იმართებოდა უზარმაზარ არენაზე, რომელსაც „ცირკუს-მაქსიმუს“ უწოდებდნენ. მთავარ ატრაქციონად ეტლების შეჯიბრი მიიჩნეოდა, შესვენებისას კი აუდიტორიას აკრობატები და ცხენოსნები ართობდნენ. რომის დიდი ცირკი, საიდანაც ფაქტიურად საცირკო ტრადიცია დაიწყო, ორმოცდაათიათასამდე მაყურებელს იტევდა. ესპანეთში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში ცირკის არენას იყენებდნენ კორიდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში უამრავი საცირკო დასი ჩამოყალიბდა. იმ დროისათვის 9 ცხენი და 7 ადამიანი სრულ დასად მიიჩნეოდა, ორკესტრს კი არღანი, კლარნეტი და დიდი დოლი შეადგენდა. ცირკებს შორის ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა "ცხენების ცირკს". ასეთი ცირკის მფლობელებს ჰყავდათ კარგი ჯიშის ლამაზი ცხენები, ამ ცხენებს წვრთნიდნენ საუკეთესო ოსტატები, რომელთაც ბერეიტორებს უწოდებდნენ. მათ მიერ გაწვრთნილი ცხენები მასობრივად ასრულებდნენ ურთულეს ნომრებს, რითაც მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდნენ.

რუსეთში ძველთაგანვე დიდად გავრცელებული იყო სკომოროხობა. სკომოროხთა ხანახაობანი რუსული ცირკის წარმოშობის საწყისები სწორედ ამ სკომოროხობაში უნდა ეძიოთ. „ცირკი დაიბადა და ყალიბდებოდა მოედანზე,– წერს თავის წიგნში ცირკის მცოდნე იური დმიტრიევი, – ოდესღაც მსახიობები თავიანთ უბრალო ბარგი-ბარხანას აწყობდნენ მიწაზე, ხოლო ხალხი მჭიდრო რგოლად იკრიბებოდა მათ ირგვლივ..."

სკომოროხები მცირე და დიდი ჯგუფებით მოგზაურობდნენ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და თავიანთი მახვილ-გონიერი და მხიარული გამოსვლებით სასტიკად ამათრახებდნენ ხალხის მჩაგვრელ კლასებს მაგრამ არ ეძინათ არც რუსეთის მაშინდელ მმართველ წრეებსა და სამღვდელოებას. ისინი მკაცრ რეპრესიულ ზომებს იღებდნენ სკომოროხების წინააღმდეგ და მათ ყველგან სდევნიდნენ. სამღვდელოება ემუქრებოდა მკაცრი სასჯელით არა მარტო სკომოროხებს, არამედ მათაც, ვინც სკომოროხების გამოსვლების უყურებდა და უსმენდა. ეი, ერთ-ერთი მა'შინდელი დროის სამღვდელოების მიერ სკომოროხების წინააღმდეგ მიღებული ზომა. – ითნა მიტროპოლიტის განკარგულება: – „რომ ამიერიდან ადარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ სკომოროხები და დათვების დამტარებლები, არც გუსლებით და არც დომბრებით, და არც სურნებით, და ვოლინკებით, და ყოველგვარი ეშმაკური თამაშით ადარ ითამაშონ და ადარ იმღერონ სატანური სიმღერები, და ადარ აცთუნონ ერის კაცები".

დღევანდელ ცირკში გავრცელებულია მთელი რიგი უანრები, რომლებიც ძირითადად შეიქმნა და განვითარდა სკომოროხების მიერ წარმოქმნილი უანრების მიხედვით, ასეთი ჟანრებია: – ცხოველებისა და მხეცების წრთვნა, მუშაობა-ეონგლიორობა, ეკვილიბრი და სხვა.

ამრიგად, სკომოროხების წვლილი თანამედროვე ცირკის შექმნასა და განვითარებაში მცირე არ ყოფილა.

თავისებური საცირკო გართობა-სანახაობანი თითქმის ყოველ ქვეყანაში არსებობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული ყაბახი, ბერიკაობა, ყვეხობა, ცხენბურთი, ჩოგბურთი, ჯირითი და სხვა.

ყ ა ბ ა ხ ო ბ ა – უძველესი ქართული სპორტული სანახაობა-გასართობია. ის საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა, განსაკუთრებით დღესასწაულებისა და ზეიმის დროს. იტალიელმა კათოლიკე-მისიონერმა – ნიკიფორე კასტელიმ, რომელმაც საქართველოში მე-17 საუკუნეში იმოგზაურა, აქ პირველად ნახა ყაბახობა. ამ სანახაობაზე დაგვიტოვა ფრიად საინტერესო ცნობა, მან მაშინდელი ყაბახობის სურათიც კი დახატა.

ყაბახობა ეწყობა საგანგებოდ გამოყოფილ ვრცელ მოედანზე. მოედნის შუაგულში აღმართული იყო ძლიერ მაღალი, ხის ძელებისაგან გაკეთებული სვეტი, ზოგჯერ სვეტს ქვითკირისაგანაც აშენებდნენ. სვეტის თავზე დადგამდნენ ნიშანში ამოსაღებ ძვირფას თასს ან სურას. მოედანზე შეიკრიბებოდნენ მოჯირითე ცხენოსნები. ისინი რიგრიგობით ჯირითით გააჭენებდნენ ცხენებს, სვეტზე დადგმულ ნივთს დაუმიზნებდნენ მ'შვილდისარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესროდნენ. ვინც სვეტიდან ნივთს გადმოაგდებდა, ის გამარჯვებულად ითვლებოდა და გადმოგდებული ნივთიც ჯილდოდ ეძლეოდა.

ზოგ მოედანზე ორი სანიშნო სვეტი იყო აღმართული — თავსა და ბოლოში. მოჯირითე ცხენოსნებიც ორ მოპირდაპირე ნაწილად იყოფოდა.

ყაბახობაში გამარჯვებული შესანიშნავ ვაჟკაცად ითვლებოდა, სასწრაფოდ გაუვარდებოდა ხალხში სახელი და ყველგან ქებით იხსენიებდნენ... ეს ასპარეზობა მოსახლეობაში დიდ ინტერესს იწვევდა და სანახაობასაც დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

ძველად ყვენობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ეწყობოდა. ყველგან თავისებური სახე და სიუჟეტი ჰქონდა, მაგრამ საფუძვლად ყველგან ყვენის შემოხვევა ედო. — დ. ჯანელიძის წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები", მოყვანილია ორმოცდაშვიდი სხვადასხვა აღწერილობა ყვენობისა.

საქართველოში ძველთაგანვე, ყველიერობის დასასრულს, „შავ ორშაბათს" ეწყობოდა დიდი საზეიმო სახალხო სანახაობა, რომელმაც ჩვენ დრომდე „ყვენობის" სახელწოდებით მოაღწია. ამ ქართულ კარნავალს თავისი წყობა გააჩნდა, თავისებური ნიღბები და სახეობა ჰქონდა, მასში მთელი ხალხი ღებულობდა მონაწილეობას.

...ძველად „ყვენობა" დიდი ცერემონიით სრულდებოდა, ერთი მოთამაშეთაგანი წარმოადგენდა ყვენს, მეორე მეფეს. მათ ბანაკთა შორის იწყებოდა ბრძოლა, რომელშიაც „ყვენი" ყოველთვის მარცხდებოდა. „ყვენს" ჩააგდებდნენ მდინარეში, თითქოს მისი დახრჩობა უნდათო. შემდეგ მაყურებელთაგან ფულს ჰკრებდნენ და იმ ფულით ქეიფობდნენ.

ბ ე რ ი კ ა ო ბ ა ს — მრავალსახეობა ახასიათებდა.

...არავინ უწყის, საქართველოში პირველად როდის გამოჩნდნენ საცირკო ხანახაობათა ოსტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ცირკის შენობის არსებობას მე-19 საუკუნიდან აფიქსირებენ. ამჟამინდელ მარჯანიშვილის მოედანზე იმ დროს ეკლესია იყო. მის გვერდით კი – ცირკის შენობა, რომელიც ხისაგან იყო აგებული და ზემოდან ბრეზენტი ეხურა. არენა წრიული იყო, მაყურებელთა სკამები ამფი-თეატრისებულად არ იყო განლაგებული. მას ესიკოვსკების ცირკს ეძახდნენ. ძმები ესიკოსები აკრობატები იყვნენ. ცირკი მათ საკუთრებას წარმოადგენდა. კოლექტიველები სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოპყავდათ და წარმოდგენებზე თვითონაც გამოდიოდნენ. ესიკოვსკების ცირკმა თბილისში ოქტომბრის რევოლუციამდე იარსება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში გაიხსნა ძმები ნიკიტინების ცირკი, სადაც გამოდიოდნენ: ქართველი ცირკის მსახიობები: – ვანო გოლიაძე, ალექსი ცხომელიძე და სხვები.

საოცარი ბედი აქვთ საცირკო დინასტიის ოჯახებს. – ერთი მათგანი, ბაგირზე მოხიარულე დონის ფერონი, წარმოშობით იტალიელი, დაახლოებით ასორმოცი წლის წინ აღმოჩნდა რუსეთში თავისი წინაპარი. მას ჰყავდა ხუთი შვილი – ნატალი, ორაციო, ამერიკო, ორესტო და კონსტანტი. მათ შემოიარეს მთელი რუსეთი. არაერთხელ იყვნენ საქართველოშიც. ისინი ბრწყინვალე უნივერსალური ცირკის მსახიობები იყვნენ. უმცროსი ვაჟი – კონსტანტი (შემოკლებით ტანტი) ამავე დროს იყო სოლო ჯამბაზიც და პაროდირებდა ყველა ცირკის ყველა ნომერს. ეს კი მოითხოვდა დიდ სამსახიობო ოსტატობას. ეს ტალანტი გადაეცა მათ შვილებს – კონსტანტინეს და ლეო ტანტს – ფერონის. მათ იტაცებდა მუზიკალური კლოუნადა. ისინი ფლობდნენ ბევრ ექცენტრიკულ ინსტრუმენტებს. თბილისი მათ იცნობდა კუპლეტისტ-სატირიკოსებად. ძმები - ტანტების თბილისის ცირკში, რომელიც მსახიობთა კოოპერატიულ ამხანაგურ ცირკად ითვლებოდა იფურჩქნებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მსახიობთა ბრწყინვალე ტალანტები: – ალექსი ცხომელიძე, გოლიაძეები, დუბი – კლარა და ვალენტინა გამსახურდიები, აპოლონ სტაროშვილი და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცირკი სახელმწიფოს კუთვნილება გახდა და ადგილმდებარეობაც შეიცვალა. აგებული იქნა ცირკის ახალი შენობა. იგი ხისგან იყო ნაშენი, სახურავი თუნუქის ჰქონდა, დარბაზი ამფითეატრის სტილზე იყო მოწყობილი, მანეჟზე ნახერხი ეყარა. ჰქონდა ეზო, კულისები და ა.შ. ამ ცირკის უკანასკნელი დირექტორი იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – რომან სერგოს ძე გამსახურდია. მის დროს დაიწყო გმირთა მოედნის ზემოდ გორაკზე, ამჟანმინდელი ცირკის შენობის მშენებლობა. რომლის დამთავრებას ვერ მოესწრო.

ახალი ცირკის მშენებლობის იდეა ლავრენტი ბერიას ეკუთვნის. მას ძალიან უყვარდა ამ საოცარი სანახაობის ყურება. მშენებლობას პირადად აკონტროლებდა. კვირაში ერთხელ აუცილებლად შეუვლიდა მშენებლობას, მანამ სანამ მთის წვერზე ცირკი აშენდებოდა, გმირთა მოედნიდან ვაგზლის მიმართულებით გზა გაჭრილი არ იყო, იქ ერთიანი გორაკი იყო. ყოფ. გოლოვნის პროსპექტიდან ვაგზლის მოედანზე მოხვედრის მსურველი ვერის დადმართიდან მარჯანიშვილზე გადადიოდა და იქიდან აგრძელებდა გზას. მაშინ ამ გზაზე კონკა დადიოდა. ცირკის მშენებლობას დაემთხვა გმირთა მოედნიდან ვაგზლისაკენ მიმავალი გზის გაჭრა. თბილისის სახელმწიფო ცირკის მშენებლობა არქიტექტორებმა ნ. ნეპრინცევმა, ს. სატუნცევმ და ვ. ურუშაძემ 1939 წელს დაასრულეს. ცირკის თანამშრომლები ამბობდნენ, რომ ასეთი მდებარეობისა და არქიტექტურის ცირკის შენობა მსოფლიოში არაა. ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ერთადერთი ცირკის შენობაა, რომლის გუმბათი საყრდენებით არ არის გამაგრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ეროვნული საცირკო კოლექტივის ჩამოყალიბება სცადა ხახულ- განთქმულმა ექვილიბრისტრმა – ვანო გოლიაძემ. ის 1938 წლის ნოემბრის დასაწყისში ჩამოვიდა თავისი ოჯახით თბილისში და შეუდგა „პირველი ქართული საცირკო ანსამბლის" შექმნას. 1939 წლის დასასრულს ვ. გოლიაძემ ხალხთა კომისიას წარუდგინა ანსამბლის პირველი ნომერი. მიღების ოქმში ანსამბლის მუშაობას მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული.

იმავე წელს დასი თბილისიდან საგასტროლოდ გაემგზავრა ორი ატრაქციონით. „ქართული საცირკო ანსამბლით" გოლიაძეები გაემგზავრნენ საგასტროლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ცირკებში იმ ანგარიშით, რომ წელიწად ნახევარი – ორი წლის შემდეგ დაბრუნებულიყვნენ თბილისში და შეექმნათ სრულყოფილი „ქართული საცირკო კოლექტივი". დასი ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა.

ორი წლის შემდეგ კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რამაც ხელი შეუშალა ვანო გოლიაძის სწრაფვას და გადაიდო მისი ოცნება ცხრამეტი წლით.

1957 წელს თბილისში დაიწყო პირველი ქართული საცირკო დასის ჩამოყალიბება. რისთვისაც საქართველოს კულტურის სამინისტრომ შეადგინა მხატვრული კოლეგია თბილისის ცირკის – დირექტორ გრიგორი ივანაძის, სამხატვრო ხელმძღვანელების: ლეო ტანტის, ირაკლი ყანჩელის, სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის, ქორეოგრაფ – ჯანო ბაგრატიონის, კინორეჟისორ – ნიკოლოზ სანიშვილისა და სხვების მონაწილეობით.

ამ დროისათვის საქართველოს ჰყავდა თავისი ცირკის ნიჭიერი მსახიობები, მაგრამ ისინი შედიოდნენ საერთო „საცირკო კონვეიერებში" და წლების მანძილზე გამოდიოდნენრ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცირკებში. ესენი იყვნენ რუსეთის დამსახურებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტისტი ალექსანდრე ცხომელიძე, მსახიობები: ალდგომელაშვილები, მიხეილ და ლუდმილა ლალაშვილები, სანდრო დადეშქელიანი და გოლიაძები. მაშინ ცირკში მუშაობის მრავალი მსურველი აღმოჩნდა, სამწუხაროდ ახეთ სწრაფეას ცირკისადმი დღეს ვერ ვხედავთ. აქ მოვიდნენ თეატრების, კინოს, ფილარმონიის მსახიობები, ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ შორის კოლეგიამ შეარჩია საოცარი ხელოვნების მომავალი ოსტატები და ხუთეულს შეამატა ეოფილი საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ტანვარჯიშში გურამ გარსევანიშვილი, სპორტის ოსტატები: ლექსო მჭედლიშვილი, შალვა ძამაშვილი, ვაჟა ნატეროშვილი და 15 წლის ნანა ბერიძე.

საცირკო პროგრამა უკლოუნოდ ხომ წარმოუდგენელია, კარგი კომიკის შერჩევა კი ძალზედ გაძნელდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ამ უანრისათვის შესაფერისი ოსტატიც გამოიძებნა. ეს იყო მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი სანდრო თედიაშვილი, რომელმაც შემდეგ საკმაო წვლილი შეიტანა ახალი კოლექტივის წარმატებაში. იყო მისი მხატვრული ხელმძღვანელი, ხოლო 1964 წელს რუსეთის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან – ეფიმ ტიმოშენკოსთან ერთად გახლდათ ქართული საბავშო საცირკო წარმოდგენის „ლურჯი მთების ლეგენდა" დამდგმელი რეჟისორი, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა. ამჟამად 95 წლის ს. თედიაშვილი კვლავ ცირკის სამსახურშია.

ახალმა დასმა დიდი მონდომებითა და ენერგიით დაიწყო მზადება. საცირკო ნომრებში ეროვნული ფორმების მოძებნა საკმაოდ რთული საქმეა. ზოგიერთი მსახიობი ამას ადვილად აღწევს, ზოგს კი უძნელდება, მაგრამ ყველა ხალხური ცირკის აღდგენისაკენ მიისწრაფოდა. ქართული ეროვნული ცირკის შემქმნელთა ამოცანა იყო იმდროინდელი ცირკის საუკეთესო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად მოეძებნათ ეროვნული სახითის ნომრების შექმნის გზები. საჭირო იყო სარბიელიდან გაგვეგონა ქართული სიტყვა, იუმორი, ხუმრობა, დაგვენახა სულის სიმტკიცე, ძალა, გამბედაობა, ოსტატობა, ამ მხერიე მიუხედავად სიძნელეებისა ახალმა კოლექტივმა დადებით შედეგებს მიაღწია.

მსახიობებთან ერთად გაფაციცებით მუშაობდნენ მხატვრები – ლადო გუდიაშვილი და ვაჟა ზარიძე. მათ მხატვრულად გააფორმეს პროგრამა. კომპოზიტორებმა ბიძინა კვერნაძემ, ოთარ თევდორაძემ და დირიჟორმა რუდოლფ კონიაევმა ეროვნული მუსიკის მოტივებზე შექმნეს მრავალფეროვანი და ტემპერამენტიანი მუსიკა. და აი 1958 წლის 19 თებერვლს თბილისის ცირკის სარბიელზე გაიმართა პირველი ქართული საცირკო კოლექტივის პრემიერა. ეს იყო ქართული ცირკის დაბადება. ამ დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობა მაყურებლით იყო სავსე. ორი ათასამდე მაყურებლიანი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ყველას აინტერესებდა ენახა ქართული საცირკო კოლექტივის მონაწილენი.

თავისებური ორიგინალური ნომერი აჩვენა მაყურებელს ცირკის ძველმა ოსტატმა რ.ს.ფ.ს.რ. დამსახურებულმა არტისტმა ალექსანდრე ცხომელიძემ. მაყურებელს ხიბლავს ეკვილიბრისტების – ვანო გოლიაძის დიდი ოჯახის წევრთა მიერ შესრულებული რთული ნომრები, აღდგომელაშვილების – ანტონისა და ალექსანდრეს ყარჯიში ლერძზე, ეკვილიბრისტების ლუდმილა და მიხეილ ლალაშვილების გამოსვლები. თავისებურ ორიგინალურ ნომრებს აჩუენებს ხანდრო დადეშქელიანი.

ცირკის ძველი ქართველი ოსტატების ეს ხუთი ნომერი საფუძვლად დაედო ქართული საცირკო კოლექტივის შექმნას. მათ გარდა არენაზე გამოდიოდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები – ალექსანდრე (ლექსო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედლიშვილი, გურამ გარსევანიშვილი, შალვა ქამაშვილი, ვაჟა ნატროშვილი, დეკადარიანი. კარგად შეასრულეს აკრობატული ეტიუდი გურამ გარსევანიშვილმა და 15 წლის ნანა ბერიძემ.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ქართველი კომიკის „კინტოს" როლში სანდრო თედიაშვილის გამოსვლა. წარმოდგენას ამშვენებს მოცეკვავეთა ჯგუფი ცეკვით „ხორუმი".

ერთი თვის შემდეგ ქართული საცირკო კოლექტივი გაემგზავრა ქალაქ მოსკოვში საქართველოს დიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, სადაც ხვდათ დიდი წარმატება და ამის შემდეგ ახალმა დასმა დაიწყო საგასტროლო მოგზაურობა. მან თავისი ხელოვნება უჩვენა რუსეთს, უკრაინას, ბელორუსს, სომხეთს, აზერბაიჯანს და სხვა ქვეყნებს. მათზე აღვრთოვანებული პრესა საქებ სიტყვებს არ იშურებდა.

ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ ქართული ცირკი 1963 წლის ნოემბერში თბილისში დაბრუნდა და დაიწყო პროგრამის განახლება. ახალი ნომრებითა და ელემენტებით შევსება, რეკვიზიტის მოწესრიგება, იკერებოდა ახალი, ლამაზი კოსტუმები, მსახიობები ვარჯიშობდნენ დამით, რადგანაც მანამდე მანეეი საგასტროლოდ ჩამოსულ კოლექტივს ეჭირა.

დაძაბულ შრომასა და ახლის ძიებაში გაეიდა ორი თვე და 16 იანვარს ქართველმა დასმა დაიწყო განახლებული პროგრამის ჩვენება.

პროგრამა იხსნება პროლოგით. ლამაზი ორნამენტებით მორთულ სარბიელზე გამოდის მთელი დასი. ცენტრში დადგმულ ტუმბოზე ადის საქართველოს სახალხო არტისტი სანდრო თედიაშვილი და გულთბილად ესალმება მაყურებელს. იმართება ცეცხლოვანი ქართული ცეკვა. შემდეგ მანეეს იჭერს მჭედლიშვილების მხატვრული აკრობატული ჯგუფი, რომლის მაღალი ოსტატობა დიდ მოწონებას იმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენა სწრაფი ტემპით მიდის. აი მანეკენზე გამოდის განსვენებული ალექსი ცხომელიძის მეუღლე — ემილია. პატარა ეტლებსა და ქართულ ურემში გამბული ძაღლების გამოჩენა გადაცმული სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებში, დარბაზში მხიარულებასა და სიცილს იწვევს. ემილიას ოთხფეხა „მსახიობები" მრავალ საინტერესო ილეთს ასრულებენ.

სხეულის პლასტიკურობას, ძალას, გამძლეობას აჩვენებენ აკრობატები: საქართველოს დამსახურებული არტისტი გურამ გარსევანიშვილი (ხელმძღვანელი), ვაჟა ნატკროშვილი და რუბენ სიმონიანი. მათი თვითეული მოძრაობა ლამაზ ეტიუდად წარმოგვიდგება.

ხალხურობა ახასიათებდა პროგრამის სხვა ნომრებსაც. ყველა ბრწყინავდა არტისტიზმით, რითმის გრძნობით. ეს ეხება საქართველოს დამსახურებულ არტისტს მიხეილ ლალაშვილსაც. მას დროებით მოუხდა ნომრისა და აპარატურის გადაკეთება, რათა იგი მემკვიდრეს ელოდებოდა. ადრე მიხეილი ორმაგ თავისუფალ, მბრუნავ მაგთულზე მეუღლე ლუდმილასთან ერთად გვიჩვენებდა ძნელ და დინამიკურ ნომრებს. ისინი 1962 წელს სხვა მსახიობებთან ერთად გასტროლებზე უნგრეთში იმყოფებოდნენ, სადაც მაყურებელმა და პრესამ ქებით მოიხსენია ცოლ-ქმარი. ახლა პროგრამაში იგი, თავისუფალ ცალფა მაეთულზე მდგომი, დახვეწილი ოსტატობით ეონგლიორობდა ხმლებით, ხანჯლებით, რგოლებით და ბურთებით.

ორიგინალური ჟანრით გამოდიოდა საქართველოს დამსახურებული არტისტი სანდრო დადეშქელიანი. სანდროს დაბადებიდან არცერთი ხელი არ აქვს, სამაგიეროდ ფეხის თითები იმდენად განვითარებული ჰქონდა რომ თავისუფლად ხმარობდა: ხატავდა, ქუდს იხდიდა, თმას ივარცხნიდა, იღებდა ჭიქას, ფურცლავდა ჟურნალს, ხმარობდა საჭირო საგნებს — პაპიროსს, მართავდა საათს, თოფს ისროდა მიზანში და სხვა. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადეშქელიანის გამოსვლა საერთო განცვიფრებას და აღტაცებას იწვევდა.

აღსანიშნავი იყო რგოლებზე ბერიძეების ვარჯიში, ამ სამეულის სრულიად ახალი ნომერი გამოირჩეოდა მაღალი კლასით. ასევე მოწონებას იმსახურებდა მძლეოსანი აკრობატების – ვაჟა ნატროშვილისა და ალბერტ ოგანეზოვის, საჰაერო ტანმოვარჯიშე – ავთანდილ ფერაძის, ნიკო მთვრალიშვილისა და ელენე ბრეადს, ლარისა ალდგომელაშვილის (კორ-დე-ვოლანი) და აკრობატ მოხტუნავეების (ხელმძღვანელი ა. ნიქობაძე) გამოსვლები. ისინი ნომრებს მაღალი ოსტატობით ზუსტად და ლამაზად ასრულებდნენ. ახალგაზრდა მსახიობებმა – ჰამლეტ ნატროშვილმა, ლეონიდ უტეშოვმა, თენგიზ სამხარაძემ და ნიკოლოზ კაზაკოვმა მოკლე დროში შექმნეს ახალი ნომერი – ბატუტზე ხტუნვა. (ხელმძ. ნ. კაზაკოვი). ოთხეულის უნაკლო, გაბედული მუშაობა შიშისა და აღტაცების მომგვრელი იყო.

ცხენი და ცირკი განუყოფელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სარბიელის მრგვალი ფორმის შექმნა სწორედ საცხენო ჟანრით არის ნაკარნახევი ცირკის სამყაროში. მართალია მხოლოდ მრგვალ მანეჟზე შეიძლება ცხენმა თანაბრად ირბინოს. უამისოდ კი არ მოხერხდებოდა იმის ჩვენება, რაც ქართველმა ცხენოსნებმა – მერაბ გარსევანიშვილმა, ედურდ (შიკე) ფარსადანიშვილმა, ანზორ კუტალაძემ, ნანა მელქაძემ, მურად ძაძოეევმა და შაირბეკ ვარზიევმა წარუდგინეს მაყურებელს. ცხენოსანთა ჯგუფს ამ ჟანრის გამოცდილი ოსტატი ქერიმ ვარზიევი ხელმძღვანელობდა. ანა მელქაძეს ამ დროისათვის ცირკში მუშაობის მხოლოდ ორი წლის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ისე დოსტატებული იყო, გაჭენებულ ცხენზე შაშაკაცისათვისაც ძნელად დასაძლევ ილეთებსაც კი ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზებს ავსებდნენ ქართული ცირკის მხატვრული ხელმძღვანელი სანდრო თედიშვილი, ჰამლეტ ნატვროშვილი, გურამ ნიკოლაიშვილი და ლეო მინერალოვი. მათ რეპერტუარში ფართოდ იყო მოცემული ქართულ მოტივებზე აგებული პატარა სცენები, ეროვნული თამაშები – უძირო კასრთან, ბერიკაობა და სხვა. სარბიელზე მათი გამოჩენა საერთო სიცილს იწვევდა.

წარმოდგენაში ქართული ელფერი შეჰქონდათ მოცეკვავეებს – იური ჩომახიძეს (ხელმძღვანელი), ანზორ კუტალაძეს, ნანა ჩომახიძეს. მათმა ცეცხლოვანმა ცეკვებმა მრავალი მაყურებელი მოხიბლა და მოაჯადოვა.

სრულეოფილი ორგანეოფილებიანი პროგრამის შესავსებად ქართულ კოლექტივს უხდებოდა სხვადასხვა მსახიობის მოწვევა. ამავამადაც პროგრამის ერთი განეოფილება დაეთმო რუსეთის ცირკიდან მოწვეულ მსახიობს ირინე ხიდორკინას, რომელმაც მაყურებელს წარუდგინა "ზღვის ლომებისა და მობანავე ქალების" ატრაქციონი. იმ ჟამს ქართულ ცირკში ახალგაზრდობა ჭარბობდა. ბევრი მათგანი დახვეწილი ოსტატი გახდათ. ისინი დირსეულად ედგნენ ბევრდით უფროს თაობის მსახიობებს. საყალალოა ის რომ დღეისათვის არც ეროვნული დახი არსებობს და არც ახალგაზრდობის სწრაფვა საცირკო ხელოვნების დაუფლებისათვის.

ქართული ცირკი მოსკოვის „სოიუზგოსტცირკს" ექვემდებარებოდა და საქართველოში წარმოდგენების გამართვა ხუთ წელში ერთხელ უხდებოდა, მანამდე სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობდნენ. იყვნენ ფინეთში, ბულგარეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში და პოლონეთში. ყველგან როგორც ყოველთვის გულთბილად ღებულობდა მაყურებლით გადაჭედილი დარბაზები და გულთბილად აშუქებდა პრესა ქართული კოლექტივის მსახიობების დიდ ოსტატობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივ მოგზაურობაში ასეთი ლოგიკა იყო ჩადებული: – ბაკშმა ერთი და იმავე კოლექტივის ხელოვნებას ყოველწლიურად რომ უყუროს მოსწყინდება, ხუთი წლის შემდეგ ახალი თაობა მოდის, რომელიც არ იცნობს ძველ პროგრამას და მისთვის საინტერესოა მისი ნახვა. ამის გამო ხშირად ერთ ქალაქში წარმოდგენის გამართვა ცირკის კოლექტივს აკრძალული ჰქონდა. სეზონი სექტემბერში იწყებოდა და ცხრა მაისამდე გრძელდებოდა. შაბათ კვირას წარმოდგენა დღეში სამჯერ იმართებოდა. კვირაში 9-10 წარმოდგენას მართავდა ცირკის კოლექტივი.

ქართული ცირკის კოლექტივს „ხახანძრო ნაწილს" ეძახდნენ, ცირკში როცა ხალხი არ მიდიოდა, „იწვისო", ამბობდნენ. ასეთ შემთხვევაში იქ ქართულ ცირკს აგზავნიდნენ. ყოფილ საბჭოთეთის ტერიტორიაზე არ ყოფილა ქალაქი, რომ ჩვენი – ქართული ცირკი „დამწყარიყო" (ჩაყარდნილიყო) იგონებდნენ იმჟამინდელი ქართული ცირკის კორიფეები. მათ წარმოდგენებზე უამრავი ხალხი ესწრებოდა.

1988 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს ცირკის კოლექტივმა თავის ისტორიის მანძილზე მეორეჯერ გახსნა სეზონი თბილისში.

მათ ქართველ მაყურებელს ხაუბილეო განახლებული პროგრამა წარუდგინეს, იმ წელს ქართული ცირკის დასს დაარსებიდან ოცდაათი წელი შეუსრულდა.

ამჟამად კოლექტივს ხელმძღვანელობდა ოთარ ნინიძე, დასს შეემატა ახალი მსახიობები: – ოთარ რატიანი (სამხატვრო ხელმძღვანელი), ავთანდილ ფერაძე, თენგიზ სამხარაძე, მალხაზ მჭედლიშვილი, ბესიკ კალამაშვილი, ავთანდილ ჯამაშვილი, ალექსანდრე დაშევსკი. თბილისელი მაყურებელი მათი პროგრამით ძალზე აღფრთოვანებული და კმაყოფილი დარჩა.

აღსანიშნავია ის, რომ ამ ხნის მანძილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცვლებოდა ნომრები, ცალკეულ ნომრებში კი თვით მსახიობები და მისი ხელმძღვანელებიც.

ამ ხნის მანძილზე, გარდა ზემოთ ნახსენები მსახიობებისა, ქართული ცირკის მანეჟზე გამოდიოდნენ: – ნუგზარ დაეფლაშვილიძე, მეღლს ხარკისიანი, რუბენ სიმონიანი, ზავენ სადოევი, ვლადიმირ დანელიანი, ვალერი ბიკოვსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი – თენგიზ სამხარაძე, იდეუზიონისტთა საერთაშორისო ფესტივალის დიპლომანტები – ნანა ჩომახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი – იური ჩომახიძე, ეონგლიორი – ჰამლეტ ემიშიანი, ალეკო ნიქობაძე, თენგიზ ბერიძე, ნიკოლოზ მთვრალაშვილი, ტატიანა და ავთანდილ მოქიები, მიხაილ ვოლსკი, ალა და ვიქტორ როუკოვები, ბალაკინები, პანუკალინები, ევგენი მილაევი, ნ. ნიკოლაძე, ლარისა ფატეეეა, ბ. ანაევა, კასიანოვები, ვ. ლოგინოვი, კ. ივანოვი, გ. ბელიაუერ, ვ. კარპოვი, კ. პოლუბაროვა, მახტეი, ა. ოტლიუანნიკი, ლ. ვარნავინა, გრიგორი ნოვაკი, ირინა ბუგრიმოვა, ალექსანდრე კორნილოვი, მარგარიტა ნაზაროვა, ნიკო ალექსანდროვი, ფედოტოვი და სხვები.

სამწუხაროდ, ამის შემდგომ, პირველი ქართული საცირკო კოლექტივი დაიშალა, რადგანაც მსახიობები მოხუცდნენ...

1990-91 წლებში ქართული ცირკი „ხოიუზგოსცირკს" გამოეყო ცნობილი მოვლენების გამო. ბევრი მსახიობი გამოყოფის შემდეგ დარჩა რუსეთის ცირკების გაერთიანებაში, ზოგმაც სამუშაოს მიაგნო საზღვარგარეთ. ისინი დღესაც მუშაობენ იქ, რადგანაც საქართველოში ქართული ცირკის დასი არ არსებობს და არც ძველ მთავრობას აინტერესებდა ამ ხელოვანთა ბედი.

ქართული ცირკი ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. ის არცეთ სახელმწიფო სტრუქტურას არ შეკუდლებია. ქართულმა ეროვნულმა დასმა დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელახალი ცხოვრება. დიდი ნაწილი მსახიობებისა, ვისაც ნამდვილად აღელვებდა ქართული საცირკო ხელოვნების ბედი, მისი აწყმო და მომავალი, არც დაფიქრებულა, ისე გამოეშურა სამშობლოში. ქართული ცირკის სამსახურში ყოფნა არჩიეს – ავთანდილ ფერაძემ, ბატონ ავთანდილის დახის წევრმა რუსი ერთგნების გოგონებმაც საყვარელ პედაგოგთან მუშაობა ამჯობინეს. დასს დაუბრუნდნენ: – ანზორ ხოჯაშვილი, ავთანდილ ჯამალაშვილი, რამაზ ირემაშვილი, ალითაშა ჭქოტუა და სხვ.

თხოვნა, დაბრუნებულიყვნენ საქართველოში მსახიობები ცირკის ხელმძღვანელობამ სხვებსაც გაუგზავნა, რათა მათი ნიჭი და ცოდნა ქართული ცირკისთვის შეელიათ, მაგრამ ამაოდ...

1990 წლიდან ქვეყანაში არსებული სირთულეების მიუხედავად, ცირკის მესვეურები: – გურამ გარსეულანიშვილის მეთაურობით განაგრძობდნენ კოლექტივის ჩამოყალიბებას. ეროვნულ დასში უპირველესად ქართველი მსახიობები უნდა სჭარბობდნენ, უმთავრესია აქ ქართული სცენარი, ქართული კოსტუმები, მუსიკა ქართული, როგორც ადრე იყო... ახალ დასში ორმოცდაექვსი წევრიდან არაქართველების სიჭარბე ბევრად იყო. ქართველთა კადრები მართლაც არ ყოფნიდათ, ამიტომ ცირკის ხელმძღვანელობა იძულებული იყო, სოფელ-სოფელ, გაგონილ-ყურმოკრულის მიხედვით ეძებნათ მსახიობები. მაგალითად რამაზ გარშაულაშვილი ახმეტის რაიონიდან – ბაგირზე მოსიარულე, თბილისის დღესასწაულზე ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა აღმოაჩინა და მეისეე დაურეკა ცირკის დირექტორს – აწ გარდაცვლილ ბატონ ბორის წიფურიას...

ცირკის ახალი ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებდა თბილისის საცირკო-ხაესტრადო სასწავლებელზე (დირექტორი – გივი სერგია), რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სპექტაკლის მომზადებაში დაეხმარა. წარმოდგენაში სასწავლებლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მომავალშიც მათთან მჭიდრო კავშირში იქნებოდა და ქართული ცირკი ახალი ძალებით შეივსებოდა. ამ დროისათვის დასში იყვნენ: – რამაზ გარშაულაშვილი, ნატო შუაქრიშვილი, ლაშა გარშაულაშვილი, ნელი მურადიანი, გია ერაძე, კობა სვანიშვილი, პაატა და ეფლისო ძულიაშვილები, ვახტანგ და აქსანა ბახტაძეები, უჩა ნიქაბაძე, მანუჩარ ქოჩიაშვილი, მაია გოლიაძე, მერაბ ნიქაბაძე, ანზორ გრიგალაშვილი, როლანდ მეტრეველი, ალეკო ჭიკაიძე, ირაკლი ყუფუნია, ნუგზარ ოთარაშვილი, სოსო მეკოშკაშვილი, ეანა ადამია და სხვები...

სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში ქაოსი სუფევდა და საცირკო სასწავლებელიც, პრაქტიკულად, აღარ აძლევდა კადრებს ეროვნულ დასს.

ქვეყანაში არავის ულხინდა და ცირკიც გამონაკლისი არ იყო. ჯერ შემოსავლიდან კაპიკი არ რჩებოდათ, წარმოდგენებიდან მიღებულ თანხას, ისევ მის მომზადებას ახმარდნენ. საყვედურობდნენ, რომ არ ჰყავდათ ცხოველების ატრაქციონი – ცირკის მშვენება, მაგრამ ატრაქციონისთვის სულ მცირე 6 ვეფხვი იყო საჭირო. დღეში ერთ ვეფხვს სულ ცოტა 8 კილოგრამი ხორცი სჭირდებოდა, ამას თუ დაუმატებთ საჭირო თანხას მათ შესაძენად... ეს საჩსრები ცირკს არ გააჩნდა, მაგრამ იმედოვნებდნენ რომ საკუთარი ძალისხმევით და სხვისი ხელშეწყობით ეს პრობლემაც მოკლე ხანში დაიძლეოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 1996 წელს ახალგაზრდა მსახიობმა გია ერაძემ თავისი ხარჯებით შეძლო შეექმნა სრულიად ახალი სახის ატრაქციონი, სადაც ორმოცამდე სული ცხოველი იყო „დასაქმებული" და გასტროლებით რუსეთის ქალაქებში მოგზაურობდა.

დიახ, დახმარება და ხელის შეწყობა მართლაც ესაჭიროებოდა თბილისის ცირკს, ფინანსური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური, ქაოსისა და გაჭირვების ეამს კი ცირკის ხელმძღვანელები იქით უწყვედნენ ხსეებს დახმარებას. მათ 5 000 მანეთი 9 აპრილს მოწამლული გოგონას სამკურნალოდ გაიღეს. 1 200 მანეთი ივანე მაჩაბლის სახოგადოების ფონდში ჩარიცხეს სამაჩაბლოდან ლტოლვილი ქართველების შესაწევნად, 3 000 მანეთი – ეროვნული თავდაცვის ფონდში, 1 500 – ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ასოციაციისთვის, 6 000 მანეთი იმ ხანს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის, 6 000 მანეთი – ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკალური კონკურსის ორგანიზატორებისათვის გაიღეს, მოკლედ, „ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდა". ამასობაში კი ქველმოქმედს თავად სჭირდებოდა დახმარება და კოლექტივიც იმედოვნებდა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ფირმებიდან და კოპერატივებიდან, ვისაც კი ქართული ცირკის მომავალი აწუხებდა, არ დაიშურებდნენ თანხას მის ასაღორძინებლად, მაგრამ იმედი იმედად დარჩა... სახელმწიფოს მხრიდანაც არავითარი სურვილი არ ყოფილა, რომ ცირკისთვის მიეხედათ.

მაგრამ ქართული ცირკის ახლად ჩამოყალიბებული, ახლად შობილი დასი განაგრძობდა შეუპოვრად წინსვლას თავისი ძალებით, მისი გენერალური დირექტორის – ბატონ თემურ ჯაფარიძის, ცირკის დირექტორის ბატონ დავით გომართელის, საცირკო ხელოვნების მესვეურების – ქალბატონ ნანა მელქაძის, ბატონ გურამ გარსეანაშვილის ხელმძღვანელობით შექმნეს ორგანყოფილებიანი საინტერესო სპექტაკლი. წარმოდგენები გამართეს უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, ირანში, ერთი სიტყვით ახლო-მახლო, სადაც მგზავრობა პრობლემა არ იყო...

სწორედ, ბატონ თემურ ჯაფარიძის მოღვაწეობის დროს ჩაეყარა საფუძველი ცირკის ძველი მსახიობთათვის იუბილეს აღვნიშნის ტრადიციას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად 1977 წელს საქართველოს სახალხო არტისტის – ბატონ სანდრო თედიაშვილს დაბადებიდან 80 წლისთავი აღნიშნეს. ასევე „მიუღლოცეს" აწ განსვენებულ ბატონ – გურამ გარსევანიშვილსაც.

და აი, 2003 წლის 24 ოქტომბერს თბილისის ცირკმა გრანდიოზული წარმოდგენით ხეზონი გახსნა, რომელშიც ბოლო დროს მხოლოდ ეპიზოდურად თუ იმართებოდა წარმოდგენები. განახლებულ შენობაში კვლავ გაისმა ბავშვების მიეიწყებული ჟრიამული, ამ სამახსოვრო დღეს უკრაინელი და რუსი ცირკის მსახიობები წარდგნენ თბილისელთა წინაშე ქართველ ჯამბაზებთან – („ჭიჭი" – ანზორ ხოჯაშვილი, „ძუკუ" – მერაბ დანელია და „წოპე" – ალიოშა ჭხოტუა) ერთად.

დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ცირკისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა აწ გარდაცვლილმა ბიზნესმენმა ბატონმა ბადრი პატარაკაციშვილმა, რომელიც 2003 წელს მოეელინა პატრონად.

უნდა გვწამდეს, რომ მომავალში საქართველოში, კვლავაც ალიზრდება გაბედულთა ხელოვნების უშიშარი და შეუპოვარი ქვეყნად აღიარებული ცირკის მსახიობები.

წლების მანძილზე ქართულ საცირკო დასის სამხატვრო ხელმძღვანელები ბრძანდებოდნენ: – ირაკლი ყანჩელი, ლეო ტანტი-ფერონი, ოთარ რატიანი, სანდრო თედიაშვილი, მიხეილ ლალაშვილი, გიორგი თევზაძე, ოთარ ნინიძე, აეთანდილ ფერაძე და გურამ გარსევანიშვილი.

თბილისის ცირკის დირექტორები იყვნენ: – რომან გამსახურდია, ლადო კაესაძე, გრიგოლ ვენაძე, ივანე გვინჩიძე, ვანო ტუსკაძე, ბორის წიფურია, თემურ ჯაფარიძე, დავით გომართელი და ირინა აბულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამბაზები

სანდრო თედიაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი. 1957 წელი იდგა. იმ ხანად საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთ–ერთი მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქართული საცირკო კოლექტივის შექმნა. ამ მიზნით საჭირო იყო სპორტული მონაცემების მქონე ისეთი კომიკოსი მსახიობის შერჩევა, რომელიც შეძლებდა მაყურებელთა წინაშე ქართული იუმორითა და კოლორიტით წარდგენას და ქართული კლოუნის სახის შექმნას. არჩეული ს. თედიაშვილზე შეჩერდა. მალე იგი თეატრიდან ცირკში გადაიყვანეს და ასე იქცა ბატონი სანდრო თედიაშვილი პირველ „კლოუნად".

ცირკში 93-მდე სხვადასხვა ეანრია. მათი სპეციფიკური გამოსახვისათვის არის ილეთი, როგორც თეატრში – როლი. ცირკში მაყურებელი უნდა ხედავდეს არა მხოლოდ მადალი კლასის სპორტის ოსტატებს, არამედ მსახიობებსაც. ყოველი მათგანი მა'მინ კი არ არის მსახიობი, როცა ეანგლიორობს სხვადასხვა საგნით, არამედ მაშინ, როდესაც თავისი ექსცენტრიკული ილეთების საშუალებით შთამბეჭდავ მხატვრულ სახეს ქმნის.

სანდრო თედიაშვილს ძალიან გამოადგა დრამატულ თეატრში მუშაობის გამოცდილება, მისი პიროვნული თვისებები, იუმორი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანების სიყვარული, ჰუმანიზმი, ის გახდა საყვარელი კლოუნი ყველასათვის. იგი პირველი ქართველი კლოუნია, რომელიც თავისი კოლორიტით სულ არ ჰგავს არცერთი ერის კლოუნს -- „მე ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ველოდი ჩემს მაყურებელს. ყოველთვის მახსოვდა, რომ ადამიანები ცირკში მოდიოდნენ გულის გადასაყოლებლად, კარგი განწყობილების მოლოდინში ისეთი ბედნიერი ეიყაეი, როცა შევამჩნევდი ზოგიერთ დაღლილ სახეს ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გადაეფინებოდა, ე.ი. იმ დღეს მე მას ხიხარული მივანიჭე, თუმცა გამოგიტყდებით, ხშირად თავად ვსაჭიროებდი ასეთ ნუგეშს.

ძალიან კარგად მახსოვს ჩვენი პრემიერა, რომელიც 1958 წლის 19 თებერვალს შედგა.წარმოდგენას უამრავი მაყურებელი დაესწრო. იმდენად საინტერესო იყო სანახაობა, რომ მაყურებელი არენიდან ადარ გვიშვებდა. ხუთი წუთი ფეხზე იდგა და ტაშს გვიკრავდა".

ქართული ცირკი ხშირად დადიოდა გასტროლებზე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იქაურმა მაყურებელმა შეიყვარა ქართველი კლოუნი და ნიშნად იმისა, რომ გიცანითო, შეხვედრისას უმღერებდნენ ხოლმე მელოდიას რევაზ ლადიძის „ობილისოდან". სანდრო ქართულ დასთან ერთად გასტროლებზე იმეოფებოდა ევროპის ბევრ ქვეყანაში: საფრანგეთში, პოლონეთში, ფინეთში და სხვა. აღსანიშნავია რომ როგორც დასს, ისევე პიროვნულად ბატონ სანდროს კარგი პრესა ჰქონდა. სანდრო თედიაშვილმა ქართულ კინოშიც შექმნა რამდენიმე მხატვრული სახე,მათ შორის ჯამბაზისა — ფილმში „მთვარის გლობუსი"და ყარამანის — ფილმში „ბედის უკუღმართობა".

1963–69 წლებში სანდრო ქართული ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. მან რეჟისურაში სცადა ბედი და მისი ავტორობითა და დადგმით 1965 წელს ქართულ ცირკში განხორციელდა ქართული საბავშვო საცირკო წარმოდგენა „ლურჯი მთების ლეგენდა". სადადგმო ჯგუფმა და მონაწილეებმა არენაზე პირველი გამოხენისთანავე გონებამახვილობით, მოხერხებულობითა და გამომგონებლობით შეძლეს მაყურებელთა სიმპათიის მოპოვება. ცოტა ადრე, 1964 წელს, საქართველოს საცირკო ხელოვნების კოლექტივი ა. თედიაშვილის ხელმძღვანელობით, საცირკო ხელოვნების საკავშირო დათვალიერების დიპლომატი გახდა. საცირკო ხელოვნებაში ნაყოფიერი შემოქმედებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობისთვის ა. თედიაშვილი მრავალგზის დაჯილდოვდა საკავშირო თუ ყოფილი კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის, საქართველოს მთავრობის საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიებით. მალე მას მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

თბილისის შოთა მილორავას სახელობის საცირკო–საესტრადო სასწავლებელში საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული ცირკის პირველი „კლოუნი" ბატონი სანდრო თედიაშვილი დღემდე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, მრავალი მსახიობი აღზარდა ქართული ცირკისათვის ამ სასწავლებელმა და ისინი ამშვენებენ ცნობილი ცირკების კოლექტივებს.მან როგორც ცირკის მსახიობმა, რეჟისორმა და ავტორმა მრავალი საცირკო დადგმებისა, როგორც ხამხატვრო ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა საცირკო ხელოვნების განვითარებაში და დიდი პოპულარობა მოუტანა ქართული ცირკის კოლექტივს.

იგი თითქმის ექვსი ათეული წელიწადია, ღირსეულად ემსახურება საყვარელ პროფესიას, ჯერ როგორც ცირკის მსახიობი, შემდეგ საცირკო–საესტრადო სასწავლებლის პედაგოგი. მასთან გაცნობა სრულიად შეგიცვლით წარმოდგენას ასაკზე 95 წლის ბატონი სანდრო, მისთვის დამახასიათებელი ინტერესი სიცოცხლისადმი, შემართებულობა და სწრაფი ნაბიჯი არად დაგიდევთ წელთა სიმრავლეს, რაშიც თვითონვე დარწმუნდებით.

გურამ ნიკოლაიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი.

„ოვიდან ოპერის მომდერლობა მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა – იხსენებს ბატონი გურამი – იმას მაინც მიეალწიე, რომ კულტურის სამინისტროს რეკომენდაციითმისკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში წაველი. იქ მუსკომედიის განხრით უნდა ჩამებარებინა (იმ დროს ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალურ ინსტიტუტში არ იყო მუსკომედიის განხრა). მესამე ტურამდე მიეადწია და, ერთ დგეს მეგობარს მოხკოვის საცირკო–საესტრადო სასწავლებელში რომ გავყე, სადაც მისაღებ გამოცდებს აბარებდა, იქ საბოლოოდ გადაწყდა ჩემი ბედი. ეს კი ასე მოხდა: სანამ მეგობარი დაბრუბდებოდა ვიდექი და თან რომელიდაც ქართულ სიმღერას ვდღიღინებდი, უცებ შეეამჩნია, ეიდაცეები მიეეურებენ და იცინიან...მომიახლოედა ერთ–ერთი და მეუბნება, არ გეწყინოს, მეგობარო, მაგრამ თქვენ ჯამბაზად ხართ დაბადებული და ხომ არ ჩააბარებდით ჩეენს სასწავლებელშიო (პედაგოგები აღმოჩნდნენ). სხვათა შორის, სწორედ იმხანად იქმნებოდა ქართული ცირკი და, როდესაც კულტურის სამინისტროს დავუკავშირდი, როგორ მოვიქცე –მეთქი, თბილისიდან მირჩიეს, საჭირო საქმეაო. ასე მოვხვდი საცირკო სასწავლებელ'ში და მე ვიყავი პირველი ქართველი მსახიობი, რომელმაც ეს სასწავლებელი დავამთავრე... 1961 წლიდან 1969 წლამდე ქართულ საცირკო კოლექტივში ვმუშაობდი...

იმას მოვესწარი, რომ ჩემი შვილებიც უკვე ჩემთან ერთად გამოდიან ცირკის არენაზე – გია ქალზე მახვილგონიერი ჯამბაზია, ხოლო ნატო – ტანმოვარჯიშე, ახლა ახალ ნომერს ამზადებს...

განა მწყინს ქუჩაში მიმავალს ბავშვები რომ ამედეემებიან – ეს თქვენა ხართ ბიძია ჯამბაზი? – პირიქით. მერე ზოგი ცირკშიც მაკითხავს, უნდა რაიმე ნომერი შეისწავლოს...

მაგრამ სულ ხუმრობის ხასიათზე ჩვენი მტერი იქნა...

რას იზამ, ასეთია ჩეენი ცხოერება, გარდაცვლილი დედის ცხედარი სახლში მედო და პანაშვიდების შემდეგ ცირკ'ში გავრბოდი, ხალხი რომ გამემხიარულებინა.

აბესალომ კალამაშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი, ესტრადისა და ცირკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობთა მრავალი საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

1962 წლს იგი ეხიარა ცირკის არენას. ხუთი წლის შემდეგ პარიზში, გასტროლების დროს მან ალფრთოვანებაში მოიყვანა სახელგანთქმული ფრანგი — მიმი მარსელ მარსო, რომელმაც ხთქვა: - „მე მასში ვხედავ დიდ ტალანტს, აი ნახეთ ის თქვენ გასახელებთ, მთაყარია მას მიეხმაროთ" ... თუმც დახმარებით არეინ დახმარებია აბესალომ კალამაშვილს და არც ისწრაფოდა ამას. ის თვითონ ეხმარებოდა თავის თავს დიდი შრომის საფასურად. ამას კი „ბესიკი" მიწყეული იყო.

ის ერთადერთი იშვიათი ჯამბაზი იყო ყოფილ საბჭოეთში და ევროპაშიც კი შეიძლება ითქვას, რომ თავის პლასტიკურობით აჯადოებდა მაყურებელს. მისი მუდმივი რეკვიზიტები იყო ქოლგა და მოკრიეეს ხელთათმანები.ის აგრეეე ასრულებდა რთულ ილეთებს. უყვარდა სახელგანთქმული ენგიბარიანის საყვარელი ნომრის შესრულება, ტროსით, პიჯაკით, ცილინდრითა და შარფით,რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა და ტოლს არ უდებდა მის ავტორსაც, რასშიც მე პირადად გახლავართ დარწმუნებული ჩემი მოზარდობის პერიოდში, როდესაც ერთიც და მეორეც ვნახე გასტროლებზე ყოფნისას ბათუმში.

აბესალომ კალამაშვილი საზღვარგარეთის ოცზე მეტქვეყანაშია ნამყოფი, ყველგან მაყურებელი მას გულთბილად ღებულობდა. მასზე ბევრს წერდნენ... შეეციაში ის ,,დიდებულ კლოუნად" მონათლეს, იტალიაში „მისტერ მიმ"-ს უწოდებდნენ, „ცირკის მაესტროს" საფრანგეთში ეძახდნენ. საფრანგეთში ის სახელგანთქმულ პანტომიმის ვარსკლავებს შეადარეს.

აბესალომ კალამაშვილი ამბობს: — ,,ჯამბაზი იბადება მაშინ, როდესაც მასთან აღიარება მოდის, და კვდება მაშინ, როდესაც მას მაყურებელი ეედარ უგებს, მასთან გულგრილი ხდებიან, უყურადღებოდ სტოვებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როდესაც ვერ პოულობ ადამიანს, რომ გადასცე შენი მსახიობური საიდუმლო".

ალექსანდრე ერისთავი – საქართველოს დამსახურებული არტისტი. მსახიობის რთულ პროფესიას პირველად ჩაწვდა – თბილისის საცირკო-საესტრადო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდგომ ცირკის არენაზე გამოდიოდა მოჯირითე კლოუნის ამპლუაში. ის კარგად იყო გაწურთნილი: ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ძალოსნობაში,კარგად ჟონგლიორობდა და კარგი მომთვინიერებელიც გახლდათ. ამავე დროს იყო თეატრის მსახიობიც. ხშირად იწვევდნენ კინო გადაღებებზე. იყო ბრწყინვალე კასკადიორიც.

ქ. მოსკოვში – გიტისის ინსტიტუტში ა. ერისტავმა კონკურსში სამხატვრო საბჭოს წარუდგინა თავისი სცენარის რეპრიზი. ის და სხვა მისი ნამუშევრები ამ ინსტიტუტის კედლებში დღესაც ცოცხლობს. ხოლო მისი ერთ-ერთი რეპრიზი – ჯამბაზი მოჯირითე ცხენით და ძაღლით, დღესაც „მოგზაურობს" მსოფლიო ცირკების არენაზე და იწვევს მაყურებლის გაუნელებელ მხიარულ სიცილს.

ის აღნიშნავს: – „ცირკის მსახიობს ერთმანეთში განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს. ურთიერთგაგება და დიდი მხარდაჭერა ერთმანეთის მიმართ, რაც ჩვენთვის ძალზე ძვირფასია."

მრავალშემოქმედ ა. ერისთავი რამდენიმე კინოსცენარის ავტორია. დაცული აქვს დისერტაცია – „საბჭოთა ცირკის ნაციონალური ტრადიციები". – მანეჟის მსახიობისათვის ამბობს ა. ერისთავი: – „უმთავრესია მაყურებლის თვალები, როდესაც უყურებ ანთებულ თვალებს აქ ყველა მსახიობი გარდაიქმნება. – ჯამბაზისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ბავშვების თვალები, მათში ბუდობს ხლვა უყალბო სიხარული." ის იგონებს: – „ერთხელ მანეჟზე მოტეხილი ფეხით გასვლა მომიწია, რათა გამემხიარულებინა მაყურებელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ტირილი მინდოდა სიმწრისგან, მაგრამ მე მაყურებელი მეხმარებოდა, ის მამხნევებდა...”

ალექსანდრე ერისთავი ბოლო წლებში ცირკის მთავარ რეჟისორად მუშაობდა. იყო ყველასათვის გულდაწმენდილი, ენერგიული და კეთილი მასწავლებელი. მისი ბრწყინვალე გამოსვლები საცირკო არენაზე და კინოში დღესაც ახსოვს მაყურებელთა მრავალათასოვან აუდიტორიას.

ანზორ ხოჯაშვილი – („ჭიჭი”) „ოცდათხუთმეტ წელზე მეტია რომ ჯამბაზობ. თავიდან მე და ალიოშა ჩქოტუა აკრობატები ვიყავით. შემდეგ, რატომღაც ჯამბაზობამ უფრო გაგვიტაცა.

– დღეს ისეთი დუხჭირი ცხოვრებაა, ხალხი უნდა ვაცინოთ, რომ პრობლემები ოდნავ მაინც გადავავიწყოთ. ხვალინდელი დღის იმედი ჩაეუსახოთ... თუმცა ჩვენაც უამრავი პრობლემები გვაქვს... მაგრამ რა ექნათ – უნდა მოვახერხოთ მაყურებლის გართობა. ჯამბაზისა და მახხარის საქმე ეგ არის – უნდა იმახსრო, იცინო და ხალხიც გააცინო. როდესაც მანეჟზე გავდივარ, ყველა ჩემს პრობლემას კულისებში, ფარდასთან „ვტოვებ”, მაყურებელმა ისეთი უნდა დამინახოს, როგორიც სჭირდება – ჭკუამხიარული და გულუბრყვილო ჯამბაზი...

ალიოშა ჩქოტუა – („წოპე”) „ჯამბაზებს – ჯამბაზობა უკვე სისხლში გვაქვს გამჯდარი, მანეჟზე რომ გავდივარო, თითქოს ხელახლა ვიბადები – ყველაფერი მავიწყდება და მაყურებლის სიცილით ვცოცხლობ – ყველაზე მთავარი მისი რეაქციაა. რომ დაეცემი და ეს დიდ მხიარულებას გამოიწვევს. უნდა გაიმეორო და კიდევ დაეპერტყო... – რას იზამ, ძნელია ჯამბაზობა... ცირკში ის ყველაზე რთული პროფესიაა – აკრობატიც უნდა იყო, ილუზიონისტიც და ცხენოსანიც. თან, ყველაფერთან ერთად ხალხიც უნდა აცინო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე დაშევსკი – თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებლის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგია. თავისი მოღვაწეობა თბილისის ცირკში დაიწყო 1978 წლიდან, საქართველოს დამსახურებული არტისტის – აბესალომ კალამაშვილის ხელმძღვანელობით. ახახიერებდა – კინტოს და სხვათა სახეებს...

ამჟამად ის თავის შვილთან – *დენისთან* ერთად გამოდის სცენაზე და ძალიან წარმატებითაც. ერთი მხრივ ბუნებით მშვიდი, გაწონასწორებული მამა-შვილი (მე მათ პირადათ ვიცნობ), ცირკის არენაზე ჟულკანის ლავასავით ამოხეთქავენ თავიანთ შინაგანად დამუხტულ ენერგიას და მაყურებელს ატყვევებენ თავიანთი დახვეწილი შემოქმედებით. ოგივე ითქმის უდაოდ ანზორ ხუჯაშვილზე, ალიოშა ჩქოტუაზე და მერაბ დანელიაზეც. მათ ნამდვილად ეკუთვნით საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება... ისინი ოცდახუთ წელზე მეტია, (დენისის გამოკლებით) თავისი დაუღალავი 'შრომით ამხიარულებენ მრავალრიცხოვან მაყურებელს, მიუხედავად მათ ამ დროს ულხინთ თუ უჭირთ კაცმა რომ არ იცის...

მერაბ დანელია – (*ძუკუ*) „მე მსახიობობა აზრადაც არ მომსვლია, – ცირკში მთავარ ადმინისტრატორად ვმუშაობდი, შემდეგ დაცვის უფროსი ვიყავი, ახლა რომ მკითხოს კაცმა, ამ ჯამბაზობაზე კარგი პროფესია არ არსებობს – რა სჯობს, ამდენ გაცინებულ ბავშვს რომ ხედავ, მერეა ძნელი, – სევდა მოგეძალება, დარბაზი რომ დაცარიელდება. სანამ წარმოდგენა მიმდინარეობს, სხვა კაცი ხარ – სხვა, ფერად სამყაროში ცხოვრობ. იქ, სადაც დახატული ჯამბაზები და მოკისკისე ბაყშვები არიან. წარმოდგენა რომ დასრულდება – ცარიელ დარბაზში, ჩემი პრობლემებისა და გაჭირვების პირისპირ ვრჩები და დახატულ ღიმილს ბამბით ხამოვიშორებ საგრიმიოროში...” – ამბობს მერაბი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუზიონისტები

ილუზიონისტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ აქ უსათუოდ მინდა გახსენო ქართველი ილუზიონისტები:

რაფაელ წითელაშვილმა – ბაქოელმა ქართველმა ცნობილ ილუზიონისტს – დევიდ კოპერფილდს ფრენა ასწავლა. სხვათა შორის, ოდესელ დოდიკ ჯოტკინს (დევიდ კოპერფილდის ნამდვილი სახელი და გვარი. წარმოშობით იგი ოდესელია) მან სხვა ბევრი რამეც ასწავლა.

წარმოშობით ბაქოელი რაფაელ წითელაშვილი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. იგი ილუზიონისტებს შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, პარიზში დიდი ოქროს მედლის ლაურეატი, ილუზიონისტთა ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტია. მოსკოვში მისი პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ის ხომ მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანია. ვაი იმას, ვინც მის მზეთუნახავ ცოლს, ლენას, რაიმეს „დაუშავებს" – იგი ქმარს ყველაფერს მოუყვება და... რაფაელი მას ბაყაყად გადააქცევს. ის კი არა, თურმე, შეუძლია თავიც წააწყვიტოს. თუ მწყენებელი მოინანიებს საქციელს, მაშინ რაფაელი მას კვლავ ადამიანად გადააქცევს, თუმცა, როგორც ილუზიონისტი აცხადებს, ლენას თავადაც შეუძლია თავი მშვენივრად დაიცვას, თანაც ისეთი რამეებიც იცის, რაც მე ვერც დამესიზმრებაო...

ოთარ რატიანი – „*უჩინარი ადამიანი*", „*უჩინმაჩინი*" – ასე უწოდებდნენ მაყურებელიცა და კოლეგებიც, მეგობრებიც მოსკოვის სახელმწიფო ცირკის მსახიობს – ოთარ რატიანს. რომელმაც ასე მოხიბლა, გააოცა მაყურებელი თავისი მხატვრული ფანტაზიითა თუ ხაიდუზით ჟანრის ესოდენა დაუფლებით და ოსტატობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ომის შემდგომ პირველ წლებში ფრონტელმა მებრძოლმა, ცირკის ახალგაზრდა მსახიობმა ო. რატიანმა, ერთი მხრივ ჰერბერტ უელსის რომანით, ხოლო, მეორე მხრივ — მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებით შთაგონებულმა, გადაწყვიტა მანეჟზე დაედგა მისტიკური ფეერია შემსრულებელთა იდუმალი გაქრობით. გზა ხანაფიქრიდან მის განხორციელებამდე ოდლი და ხანმოკლე არ იყო. ერთმანეთის მიყოლებით იგონებდა ფანტასტიკურ ეპიზოდებს, რომლებსაც სიუჟეტურ ქარგაში აქსოვდა. როცა სცენარი უკვე მზად იყო, ატრაქციონზე მუშაობას შეუერთდა ინჟინერთა ჯგუფი ე. გოლდენის ხელმძღვანელობით. მას ამ საქმეში უშუალოდ ეხმარებოდა თავისივე ბიძაშვილი — კოტე იმედაშვილი. რათა ფანქარს თვითონ ეწერა, წიგნის ფურცლები თვითონ გადაშლილიყო, ტელეფონის ყურმილი თავისით აწეულიყო, პაერში გაჩერებულიყო და თავისით დადებულიყო, სკამმა იმოძრაოს, მოტოციკლს თავისით ემოძრავა. ამისათვის ქარხნებში დამზადდა რთული ხელსაწყოები.

„უჩინმაჩინის ქუდის" პრემიერა ორმოცდახუთი წლის წინათ გაიმართა და მას შემდეგ ატრაქციონი ამშვენებს საცირკო აფიშებს, რომელსაც დღეს მისი ქალიშვილი — *ლუდმილა რატიანი* მართავს.

მსოფლიოს ხუთივე კონტინტზე და საცირკო ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მაგთა საერთაშორისო აკადემიამ ოთარ რატიანს საპატიო პროფესორის სახელი მიანიჭა.

ოთარ რატიანი სამოცდაათიან წლებში ქართული საცირკო დასის მხატვრული ხელმძღვანელი იყო. აწ გარდაცვლილ ბატონ ოთარს დიდი ხითბოთი იხსენიებენ დღესაც ქართული ცირკის მესვეურნი. მისი ღვაწლი საცირკო ხელოვნებაში უკვდავია.

ლუდმილა რატიანი — წარმატებით აგრძელებს მამის მიერ შექმნილ მსოფლიოში ცნობილ ხაილუზიონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავგადასავლო აბრაქციონს – „ადამიანი – უჩინმაჩინი".

საქართველოს და რუსეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, იაპონიის რადიოსა და ტელევიზიის დიდი თასის მფლობელი – ლუდმილა რატიანი იხსენებს: – „ალბათ მე რატიანების უკვე მესამე თაობა ვარ ცირკში. მოსკოვის ცირკის მანეჟზე პირველად ჩემი ბებია – დინა რატიანი გამოვიდა. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ მოსკოვში ვცხოვრობთ, გული მაინც საქართველოსკენ მოიწევს. ერთხელ ქუთაისში ვიყავით. მოვძებნეთ სახლი, სადაც მამა დაბადებულა. მან იცნო ეზოში ბავშვობისას თავისი ხელით დარგული კაკლის ხე. შემოეხვია ამ ხეს და იტირა...

ეს იყო პოლონეთში. ხალამოს სპექტაკლის შემდეგ, სასტუმროში დავბრუნდით, ის-ის იყო ოთახში უნდა შევსულიყავი, რომ დერეფანში დედაჩემის ხმა გავიგონე: – მილა, მილა ჩქარა ჩვენთან შემოდიო. გავიქეცი, მამა, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი იჯდა სავარძელში. აი რა მიამბო მან: – „კარი რომ გავაღე და ჩამრთველისკენ ხელი გავიშვირე, გავიგონე ხმა: – სინათლე არ აანთოთ. საწერ მაგიდაზე აინთო ორი კანდელი. მაგიდას ხუთი უცნობი მამაკაცი უჯდა. – აღეღლდებით. ჩვენ მაგთა და ჯადოქართა გამხვლელი კომისიის წევრები ვართ.

თქვენს მათ. – სამდივნოს დავალებით თქვენს სანახავად ჩამოვედით. ბავშვს გადმოქცევთ ჯადოსნური ჯოხი და საერთაშორისო მაგთა დაჯადოქრის წოდების დამადასტურებელი გრაგნილი".

თურმე ხუთიანემ ხელი ჩამოართვა მამას, ამის შემდეგ სინათლე ერთბაშად ჩაქრა და ადარც კანდელები იყო სადმე და ადარც კაცები. უკვალოდ გამქრალიყვნენ. მაგიდაზე იდო მხოლოდ ცხრა მსხვილი ბრილიანტით შემკული ოქროს ჯოხი და გრაგნილი. ეს „ჯადოსნური" ჯოხი ახლაც ჩვენს ოჯახში ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკში მოსული კაცი მეტისმეტად ხერიოზული, ნუ დაკარგავს გაოცების უნარს, დაე უფროსებმაც ბავშვის თვალებით გვიცქიროონ. ცირკი ხომ ბავშვურად უშუალო, სუფთა და ხალასი ხელოვნებაა".

ილუზიონისტ – გია ფარადაშვილის სახელი საქართველოში ყველამ იცის. მას მსოფლიოს 37 ქვეყანა აქვს მოვლილი და უამრავი ჯილდო და შვიდი „მსხვილი" წოდება აქვს.

1975-77 წლებში მსოფლიო ილუზიონისტების რეიტინგში პირველი ადგილი ეკავა, 1978 წელს კი „კარტის პაპა" იყო. 1977 წელს ანტალიაში ტელევიზიის ერთ-ერთ პირველ შოუმენად აღიარეს. როგორც ის ამბობს: – მას გული წყდება, როცა შანსი ჰქონდა, ვერ ავიდა იმ წერტილამდე, რასაც ახლა კოპერფილდმა მაღწია.

დიკ ან დათო (როგორც მას შინ ეძახიან) ჩიტაშვილი თბილისელია.

ერთხელ ბავშვობაში მან დაინახა ჩინელი ოინბაზი, რომელიც ბამბის ნაგლეჯს აქცევდა თეთრ თაგვად, ისე გაიყრიდა ხელში ლურსმანს, რომ სისხლი არ გამოუვიდოდა. დათომ სცადა კლასში გაეკეთებინა ეს და თავის ამხანაგს გაუყარა ლურსმანი ხელში. სანსი სავალალოდ დასრულდა...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა მოსკოვში. მოსკოვში მან ნახა ცნობილი ილუზიონისტი, რომელიც მთელ რიგ ბრწყინვალე ნომრებს აკეთებდა. ასე დაეუფლა ის ამ რთულ პროფესიას. შემდეგში წლების მანძილზე იგი ისე დახელოვნდა, რომ პროფესიონალი მსახიობი გახდა.

დიკ ჩიტაშვილმა შემოიარა მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი, დიდი წარმატებით გამოდიოდა ფინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, შვეიცარიის, ნორვეგიის, იუგოსლავიის, ინგლისის თეატრებში, აფრიკის ქვეყნებში, ჩინეთში, ცეილონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონში ჩიტაშვილს გასტროლების დროს გაზეთ „დეილი ექსპრესის" კრიტიკოსი იუწყებოდა: – „დიკ ჩიტაშილის ხელოვნებას მსოფლიო ილუზიონისტების მწვერვალზე ვაყენებ", ხოლო გაზეთი „სანდი ტაიმსი" დასძენდა: – „ბევრი როდია ისეთი ილუზიონისტი, რომელიც შეედრებოდეს ჩიტაშვილს იმის ოსტატობაში, რომ შეუძლებელი შესაძლოდ გახადოს". დანიის პრესა ჩიტაშვილს უწოდებდა „საერთაშორისო კლასის ილუზიონისტს".

ზურაბ გალაჩკორია – ამ ბოლო ხანებში რამდენიმეჯერ გამოვიდა ცირკის არენაზე, სადაც თავისი უბადლო ოსტატობით მოაჯადოვა თბილისელი მაყურებელი. მას ყველგან იცნობენ და დიდი პატივისცემით ეპყრობიან...

„იმისთანა აპარატურა რომ მქონდეს, როგორც კოპერფილდს აქვს, რაღა მიჭირდა". ამბობს გულდაწყვეტილი ზურაბი... შემდეგ დასძენს: – „მთავარია, ფული და შეუძლებელი არაფერია. მერწმუნეთ, შესაფერისი პირობები, თანხა და აპარატურა რომ მქონდეს, „ქართლის დედას" გავაქრობდი... თუმცა ამ ოცნებას მაინც ავისრულებ..." – დასძენს ზურაბი.

სანდრო დადეშქელიანი – კაცი ლეგენდა – საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა 1914 წლის 17 მაისს. ის რომ დაიბადა, მამა ექიმებს გაუყვანიათ ცალკე და უთქვამთ: – „ბავშვი უხელებოდ დაიბადა, ალბათ ჯობია, დატოვოთო... – მამას ერთი დღე უფიქრია, შემდეგ გადაუწყვეტია, რომ მისი შვილი მასთან გაზრდილიყო. დედამ, არაფერი იცოდა, ბავშვს თუ რაიმე სჭირდა. სახლში პატარას ძიძა უვლიდა. შეხვეული მიჰყავდა ბავშვი დედასთან. ის აჭმევდა, მერე გამოიყვანდა და ისევ ძიძა უცვლიდა საფენებს. მშობლებს სამი ქალიშვილი და ორი – ვაჟა ჰყავდათ. შურა ნაბოლარა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ, დედას, ქალბატონ ეკატერინეს კარგა ხანს არაფერი სცოდნია. ერთხელაც, ძიძამ მძინარე ბავშვი დატოვა და გავიდა. ბიჭმა ტირილი მორთო. ეკატერინეს უფიქრია, მე გამოუცვლი საფენებსო. ბავშვი გაუხსნია და... უხელებო შეიღლი დაუნახავს... ისეთი სულიერი ტრავმა მიიღო, კარგა ხანს ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან თურმე...

საავადმყოფოს ექიმმა – ზაგეესკიმ ურჩია მშობლებს: არ შეახვიოთ ბავშვი, თავისუფლად იყოს, თამაშს რომ დაიწყებს, სათამაშო ფეხებში მიეცითო... ასეც იქცეოდნენ... ცოტა რომ წამოიზარდა, თურმე სულ აპროტესტებდა: – „ჩემით უნდა ვჭამო, თქვენ ნუ მაჭმევთო... პატარა ხარო ეუბნებოდნენ... ის კი დიდხანს წვალობდა და ფეხით კოვზის დაჭერას სწავლობდა – ჩემი ძმა როგორც ჭამს, მეც ისე უნდა ვჭამოო. მისი დები და ძმა კარგად ხატავდნენ, თვითონაც ფანქარი დაიჭირა ფეხით. ბოლოს ისე გაიწაფა, რომ ყველაზე უკეთ ხატავდა... სამხატვრო აკადემიაშიც კი უსწავლია რამდენიმე წელი.

მას „შურკა – ბეზრუკის" უძახდნენ, მაგრამ ის სრულიადაც არ ბრაზობდა ამაზე. გერმანულ სკოლაში მიიყვანეს და საგანგებოდ დაბალი მერხი გაუკეთეს, რომ ფეხით კარგად ეწერა. არაფრით არ დაჯდა იმ მერხზე. ჩვეულებრივი ბავშვივით მადალ მერხთან მოისურვა ჯდომა. ყველამ იცოდა რომ ხელები არ ჰქონდა, თორემ ის „უხელო" არასოდეს ყოფილა. ყველაფერს აკეთებდა ფეხით: – პირს იბანდა, იპარსავდა, როიალზე და გიტარაზე უკრავდა, ხატავდა, გაფრენილ ჩიტს თოფს ესროდა და კლავდა, გრავიურის ტექნიკით მუშაობდა. სხვათა შორის, ჰლეხანოვზე ცხოვრობდა, კინოთეატრის ეზოში. იმ კინოთეატრის სახურავზე ადიოდა და ჭერზე ხატავდა... დიდხანს ყოფილა მისი ნახატები იქ. საოცრად განათლებული იყო. სულ კითხულობდა, ქართულის გარდა, შესანიშნავად იცოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული, გერმანული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული და მათი დიალექტები...

ერთხელ, ერთი მსახიობი შეხვდა მას კაფეში, იმან გადაიბირა, შენი მონაცემებით პირველი მსახიობი გახდებიო ცირკში. მართლაც, წითელი ასოებით ეწერა მისი სახელი აფიშებზე...

და-დეში ჯერ რუსეთის ცირკში იყო... ომის დროს იქ მოხვდა. თვითონ ჰყვებოდა: – როცა გერმანელებმა ქალაქი დაბომბეს, თურმე ცირკის მსახიობები, ცხოველები, ფრინველები მიმოიფანტნენ... ყველა გარბოდა. გარბოდა შურაც. ფეხსაცმელი უშლიდა, გაიხადა... ხედავს, გზად ახალგაზრდა ქალი გდია მკვდარი. გვერდით – ხვილი, პირქვე დამხობილი. ვერ აუარა გვერდი. აყვანით ვერ აიყვანია... არ გაიგუდოს მაინცა, ფეხით გადმოუბრუნებია ბავშვი – ვინმე გამოიყვლის და აიყვანსო. ერთი ნაბიჯი გადადგა. შეჩერდა. მობრუნდა. რომ არავინ გამოიაროსო – გაუელვა თურმე. სახვევში ჩააყლო კბილები და ასე პირში ბავშვით, ხირბილით გასულა თავშესაფარში..."

კეთილშობილი, საოცრად სამართლიანი კაცი იყო, არავის გაწირავდა. ამას გარდა, „შავებთანაც" და „თეთრებთანაც" ავტორიტეტით სარგებლობდა.

მანდილოსნები მისი სიყვარულით გონს კარგავდნენ... – „რუსეთში ერთმა ქალმა თავიც კი მოიკლა ჩემი სიყვარულითო" სინანულით იგონებდა იგი. სამი ცოლი ჰყავდა. სამი შვილი დარჩა.

და-დეში სვანეთში, ძმასთან ერთად, ენგურს გადასცურავდა და გამოცურავდა ხოლმე. მის ირგვლივ მეოფ ადამიანებს, ის არასოდეს უნახავთ დარდიანი, ან თავისი ხვედრით შეწუხებული. კიდევ უფრო მეტიც, მსგავსი სიცოცხლით სავსე ადამიანი და მხიარული არასოდეს უნახავთ. მას ერთხელაც არ დაუცდენია საყვედური. ამეი იყო, თითქოს იმითაც კი მოხწონდა თავი, ხელები რომ არ ჰქონდა. ომის დროს ჰოსპიტალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰყავდათ, რომ დასახიჩრებული მეომრებისთვის, როგორც მაგალითი, ეჩვენებინათ... იგი 1977 წელს გარდაიცვალა რუსეთში. მეუღლე ზოიამ ჩამოასვენა. დედამისის გვერდით საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს...

როცა ალექსანდრე დადეშქელიანზე ფიქრობ, სიმხნევისა და პატივისცემას გრძნობ. ის სიცოცხლის საგალობელიყოთ იყო; მიუხედავად იმისა, რომ ხელების გარეშე დაიბადა, არც ერთი წუთით არ დაუშვია, ცხოვრების რითმს განდგომოდა... პირიქით, ბავშვიც, მოზრდილიც, ზრდასრულიც, თითქოს თვითონ მართავდა გარშემომყოფთ, თითქოს ყველაფერი მის ძლიერ გულისცემას ემორჩილებოდა... ის საოცრად საინტერესო ადამიანი გახლდათ: — ფიქრობ მასზე და საკუთარი თავის გრცხვენია იმ პეხიმიზმის გამო, რომელიც თუნდაც ოდესმე დაგუფლებია, იმის დავიწყების გამო, რომ ადამიანად მოსვლა უკვე ბედნიერებაა.

ძალოვანი აპრობატები

ანტონ და აუგუსტინა ალდგომელაშილები — საქართველოს დამსახურებული არტისტები — მანეულის ვეტერანები ერთერთი პირველთაგანი იყვნენ სათავედასაბამიდან, როდესაც ქართული საცირკო დასი ყალიბდებოდა. გადიოდა დრო. ცოდ-ქმარს წამოეზარდა ქალიშვილი. 14 წლის ლარისამ სამღერძიან იარაღზე მშობლების შესანიშნავად გაუწია პარტნიორობა. დიდი ნებისყოფის მქონე, შრომისმოყვარე და შეუპოვარმა ქალიშვილმა ოსტატობა თანდათან სრულყო, დახვეწა.

ლარისა ალდგომელაშვილი — საქართველოს დამსახურებული არტისტი, მართლაც ოსტატურად მუშაობდა ბაგირზე და დიდ ეფექტსაც აღწევდა. მსუბუქი, ჰაერიანი მოძრაობა, სხეულის უზადოდ დამორჩილება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავბრუდამხვევი ტემპი მის გამოხვლებს შესანიშნავს ხდიდა. ლარისას წარმატების საიდუმლეობა მხოლოდ მაღალი ტექნიკა კი არ იყო, არამედ შესრულებების მანერაც გახლდათ. მისი სხეულის ელასტიური მოძრაობა სიმსუბუქითა სიკოხტავით აღინიშნებოდა. საქართველოში ის პირველი საჰაერო ტანმოვარჯიშე გახლდათ.

ნიჭიერი მსახიობი წლების მანძილზე მუშაობდა ქართულ საცირკო დასში, რომელთანაც ერთად მოიარა ყოფილი საბჭოეთის და ბევრი ევროპის ქალაქები. მის უზადო ოსტატობას, გაბედულობას და ეაუკაცობას ყველგან აღფრთოვანებით და ტაშის გრიალით ხდებოდა მრავალათასიანი დარბაზით სავსე მაყურებელი...

ლარისა ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს თავისი ოჯახით. მისი მეუღლე – ალექსანდრე ნიქობაძე – საქართველოს დამსახურებული არტისტი, სპორტის ოსტატი აკრობატიკაში 1953 წლიდან მუშაობდა ცირკში. მათი ქალიშვილები – ოლგა და თამარი ორთავე ცირკის მსახიობებია და მამასთან ერთად გამოდიოდნენ არენაზე წარმატებით.

ლარისას ძმა – გიორგი აღდგომელაშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი ამჟამად პენსიონერია. მისი შვილი, ისიც გიორგი – აკრძელების მამის და ბაბუას საქმიანობას პირნათლად...

ალექსანდრე (ლექსო) მჭედლიშვილი – საქართველოს ხახალხო არტისტი. საქართველოს არაერთიგზის ჩემპიონი აკრობატიკაში, სპორტის ოსტატი, პირველი ქართული საცირკო დასის ჩამოყალიბებიდან ამშვენებდა მისი მხატვრული აკრობატიკული ჯგუფით ქართული ცირკის ღირსებას. ალექსანდრე მჭედლიშვილი ფენომენალური მონაცემების პატრონი იყო აკრობატიკაში და ნებისმიერ სხვა სახეობაშიც, მაგრამ ბოლომდე აკრობატიკის ერთგული დარჩენილა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰარმონიულად განვითარებულ, მაგრამ არც თუ ისე დაკუნთულ მის ლამაზ სხეულში რაღაც ფანტასტიკური, არაადამიანური ჯანი ბუდობდა: — სრულიად ძალდაუტანებლად ამტვრევდა მუშტით აგურებს, ხელ ფიცრებში არჭობდა ლურსმნებს, თითებით ღუნავდა და კეცავდა ნებისმიერი ლითონის მონეტას, ორფუთიან გირვებს ვაშლებივით ათამაშებდა, ამავე დროს გასაოცრად მოქნილი იყო, ტაიჭზეც კი — ამ ურთულეს იარაღზე — ტანვარჯიშის ოსტატებს ტოლს არ უდებდა.

ბატონი ლექსო ცირკის ბორბლებზე ოჯახით მოგზაურობდა და ქალ-ვაჟმაც რა გასაკვირია, რომ ცირკს დაუკავშირენ თავიანთი ცხოვრებაც. *თამარმა* ერთი წლის წინ დაანება თავი ცირკს, ბოლო ხუთი წლის მანძილზე გერმანიაში მოღვაწეობდა კონტრაქტით, სადაც ასრულებდა მსოფლიოში ერთადერთ ურთულეს ნომერს სამოცდათხი მეტრის სიმაღლეზე დაზღვევის გარეშე, რაშიც თვითონვე დავრწმუნდი, როდესაც სტუმრად ვიმყოფებოდი ბატონ ლექსოსთან სახლში, რათა მომავალი წიგნის ირგვლივ მასალები შეგვეჯერებია, გამოგიტყდეთ და ამ მხრივ მისი მეუღლე — ქალბატონი *ნინა* დაგვეხმარა, ის ქართული საცირკო დასის ენციკლოპედია აღმოჩნდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმდენი რამ გაახსენა ბატონ ლექსოს და ალიოშას...

იმ დღეს მჭედლიშვილების ოჯახი მაოი ვაეის — *მალხაზის* მოლოდინში იყო. და მართლაც ორი საათის შემდეგ მალხაზი და თამრიკოც შემოგვიერთდა. ის ძმის დასახვედრად აეროპორტში იყო წასული. გაიხარა ოჯახმა, გაიშალა სუფრა სტუმართმოყვარე მჭედლიშვილების ჭერსქვეშ. აბა იქიდან ვინ გამოგიშვებდა. სუფრას გახარებული დედა და და — თამარი ემსახურებოდა. სიხარულით აღსავსე ბატონი ლექსო, თითქოსდა არ იშჩნეოდა ამ სიხარულს, თამადობას გვიწევდა. კარგი ოთხი საათი ვიჯექით, რა არ გაიხსენენ მამა და შვილებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონმა ნინამ და ალიოშამ... მე ყოველივეს ვუსმენდი და მეც მათთან ერთად ხან ერთ ქალაქში აღმოვჩდებოდი და ხან მეორეში...

ბევრი საინტერესო გავიგე, სადღეგრძელოც ვისწავლე – ცამეტ მეტრს გაუმარჯოს, რაც ცირკის არენის დიამეტრს შეადგენს (ეს ყველა ცირკის მსახიობის სადღეგრძელოს ნიშნავს). სწორედ აქ ვნახე თამარის გერმანიაში და დანიაში გამოსვლების ყიდეო მასალა და ვნახე მალხაზის ოჯახის: – ქალბატონ ლენას და მისი ქალიშვილის 17 წლის ანას გამოსვლები. – „ეს ნამდვილი ყარსკლავიაო" შესძახა სახტად დარჩენილმა ალიოშამ...

მასპინძლებს ჩვენი გამოშვება არ უნდოდათ, მაგრამ მაინც დავაღწიეთ თავი „ტყვეობას"...

მე და ჩემი მეგობარი დიდი ნასიამოვნები დავრჩით სტუმრობით, მაგრამ ერთი მხრივ გულდაწყვეტილი ვიყავით იმის გამო რომ ქართული ცირკის საამაყო მსახიობი დღეს დაუსაქმებელი, ლია ცის ქვეშ დგანა ლუკმაპურის საშოვარზე, ხოლო მისი ხიხლი და ხორცი, შვილი, რძალი და შვილიშვილი რუსეთის საცირკო არენას ამშვენებენ...

უნდა ვირწმუნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ქართველი ცირკის მსახიობების სამშობლოში დასაბრუნებლად.

გურამ გარსევანიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი,

ყოფილი საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი სპორტულ აკრობატიკაში, სპორტის ოსტატი. პირველი ნაბიჯები სპორტში ომის ბოლო წლებში გადადგა. ის ადრე წავიდა სპორტიდან. თუმცა ის თვლიდა: – „თავის დროზე წასვლა სპორტიდან ესეც დიდი ხელოვნებაა"... 1957 წელს რესპუბლიკის სხვა წამყვან აკრობატებთან ერთად ის ობილისის ცირკში მიიწვიეს და აქედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოლებული თავისი ცხოვრება ცირკს დაუკავშირა... მოიარა საბჭოეთის ყველა ცირკი, იმყოფებოდა ფინეთში, საფრანგეთში, კუბაზე... ის ამბობდა: – „თეატრისა და კინოს მსახიობმა შეიძლება დაუშვას ტექსტობრივი შეცდომა და მაყურებლისთვის ის დარჩეს შეუმჩნეველი, მაგრამ შეცდომა ცირკში შეიძლება მსახიობს დაუჯდეს სიცოცხლის ფასად, ან ხამუდამოდ დაინვალიდდეს.

წლების მანძილზე მასთან ერთად ეტიუდში გამოდიოდნენ: – ვერა ლაბაძე, ნანა ბერიძე, მალხაზ მჭედლიშვილი და სხვა... ბოლო წლებში მუშაობდა მანეკენს რეჟისორ-ინსპექტორად.

შვილი – ვალერი გარხევანიშვილი მამის კვალს გაჰყვა და ისიც 25 წლის მანძილზე გამოდიოდა ცირკის არენაზე. იყო ეკვილიბრისტი მოტოციკლზე.

გურამის ძმა – *მერაბ გარხევანიშვილი* იყო დაქორწილებული ცნობილ ვეფხვების მომთვინიერებელზე – მარგარიტა ნაზაროვაზე (ეს მისი მეორე ქორწინება იყო). ნაზაროვას სიკვდილის შემდეგ მერაბი ნაზაროვას შვილთან (პირველი ქმარიდან) ერთად მუშაობდა მომთვინიერებლად ათ ვეფხვთან და წარმატებით გამოდიოდა სახლვარგარეთ, ბოლოს საფრანგეთში იმყოფებოდა გასტროლებზე...

2003 წლის იანვარში გარხევანიშვილების ოჯახში მოხდა უბედურება – გურამი თავის ძმასთან, მერაბისთან და ქალიშვილთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა თავისივე ბინაში. ისინი გაზმა გაგუდა... ასე შემზარავი სიკვდილით წაიდა ცხოვრებიდან გურამ გარხევანიშვილი – ერთი შინაგანად უბრალო ბიჭი... ის მრავალი წლების მანძილზე მისი აკრობატიული ოლეთებით აჯადოებდა მრავალათასოვან მაყურებელს...

საქვეყნოდ ცნობილი მსახიობების – ძმების გურამის და მერაბის სახელი წარუშლელი იქნება საცირკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებაში. მათი მარადიული ხსოვნა მუდამ იქნება ამ ქვეყნად!

ნანა ბერიძე – საქართველოს დამსახურებული არტისტი. სპორტულ აერობატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მიიწვიეს. მისი მწვრთნელი გახდა გურამ გარსევანიშვილი. სწორედ მასთან მუშაობამ განსაზღვრა ნანას შემდგომი ბედი. მწვრთნელისა და მოწაფის პირველი ერთობლივი დებიუტი 1957 წელს შედგა მინსკში, ყოფილი საბჭოთა კავშირის იუნიორთა ჩემპიონატის საჩვენებელი გამოსვლებისას. შემდეგ კი იყო დაუვიწყარი დებიუტი, ქართული საცირკო დასასთან ერთად, ობილისის სახელმწიფო ცირკის მანეჟზე, – 1958 წლის 19 თებერვალს. ცირკის დასსთან ექვსი წელი იმუშავა. შემდეგ იყო ესტრადაზე გატარებული 35 წელი...

აი რას ამბობდა – გურამ გარსევანიშვილი პირველ პარტნიორის შესახებ: – „ნანა ძალზე ნიჭიერი, იშვიათი შესაძლებლობების მსახიობი იყო. ის ძალზე მიადგილებდა მუშაობას. მსუბუქად, ლაღად ითვისებდა ურთულეს ნომრებს. მასთან ერთად შემოვლილი მაქვს უამრავი ქალაქი და ქვეყანა...

ჰამლეტ ნატროშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი. ახალგაზრდა მსახიობმა მოკლე დროში შექმნა ახალი ნომერი – ბატუტზე ხტუნვა, ლეონიდ უტეშოვთან, თენგიზ სამხარაძესთან და ნიკოლოზ კაზაკოვთან ერთად. ოთხეულის უნაკლო მუშაობა შიშსა და აღტაცებას ჰგვრიდა მაყურებელს. მისი ამ ნომრის ფუძემდებელი გახლდათ გრიშა გაბედავა.

ბადეებზე მოხტუნავე ოთხ ვაჟსა და ერთ ქალს, რომლებიც ნატროშვილების გვარისანი არიან, ნამდვილად შეიძლება უწოდო ამ საქმის ჩინებული ოსტატები. ძნელია აქ გამოჰყო მჯობნის მჯობნი, მათ ყოველ ნომერს ტაში და ოვაცია თან ხდეოდა. კარგი ნომრების ბრწყინვალე აკორდი ჰამლეტი გახლდათ. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათი ოსტატობით ტომარაჩაცმული პაერში რამდენიმე ბრუნს აკეთებდა და კვლავ თავის თავის ადგილზე ხტებოდა... ჰოდა, ასე ბრწყინვალე იშვიათი ოსტატობით და ვირტუოზული გამბედაობით გამოდიოდა იგი პოლონეთსა და საფრანგეთში, ფინეთში, ბულგარეთში და უნგრეთში. მას ხშირად რთავდნენ „სოუზგოსცირკის" სხვადასხვა დასებში, რომლებიც გასტროლებით მიემგზავრებოდნენ ამერიკასა და კანადაში... მის გამოსვლებს აქვეყნებდნენ ხშირად პრესაში, სადაც აღნიშნავდნენ თუ როგორ ოვაციებით აცილებდა მაყურებელი გადატენილი დარბაზები ჰამლეტ ნატროშვილს და მის პარტნიორებს...

რამაზ გარშაულაშვილი – ხალხიდან გამოსული მსახიობია. ის გამოდიოდა ქართულ საცირკო დასში. ბაგირზე სიარული ბუქნა ნომრით გამოდიოდა ოჯახთან – მეუღლე: – ნატო შუაქრიშვილი და ძმიშვილ – დაშა გარშაულაშვილთან ერთად. შესაძლო ვირების მოთვინიერება და მათთაეროად წარმატებით გამოდიოდა ცირკის არენაზე. შექმნა იშვიათი ნომერი „ფაკირი", სადაც იმეორებდა ხახელგანოქმული ფაკირების ტრიუკებს, როგორიც არის ხანჯლების ყლაპვა, ცეცხლებთან თამაში და სხვა. იყოფებოდა გასტროლებზე საზღვარგარეთ. სადაც ჰქონდა კარგი პრესა.

იგი დღესაც მოღვაწეობს ცირკის არენაზე, მას მეტსახელად „ადამიანის ცირკს" ეძახიან. მას იმდენი ნომერი აქვს შექმნილი რომ, თუ საჭირო იქნება მისი პროგრამით ერთი სრული წარმოდგენა დაიდგმება. 2010 წელს თბილისში მდინარე მტკვარზე თოკით გამბულ ბაგირზე გადაიარა.

ამუამად რამაზ გარშაულაშვილმა თბილისის ცირკის შენობაში საცირკო ხელოვნების შემსწავლელი სტუდია დაარსა თურქ კოლეგასთან – მუხარემ იაღჯი ზეიბექთან ერთად და იმედს ვიტოვებ, რომ მას თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებთან, თურქ კოლეგასთან ერთად მალე ვეხიდავთ ცირკის არენაზე...

მოჯირითეები

ნანა მელქაძე – საქართველოს დამსახურებული არტისტი. 14-15 წლის გოგონა მოსკოვში ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე ამაყად იცავდა ქართული სპორტის ღირსებას. სამ წელს ზედიზედ გამოდიოდა დიდ შეჯიბრებებში და შეუპოვრად ედავებოდა პირველობას ამ პერიოდისათვის სახელმოხვეჭილ და უადრესად გამოცდილ, მაღალი კლასის მხედრებს. ეს იყო – 1958, 1959 და 1960 წლები...

ნანას დაოსტატებას დიდი ამაგი დასდეს და გოგონას მზრუნველობა არ მოაკლეს საქმეშნოდ ცნობილმა ძველი თაობის წარმომადგენლებმა: – ბონდო დადიანმა, გიორგი გამზარდიამ, საშა დარახელიამ, მალხაზ ერისთავმა და იმდროისათვის სახელმოხვეწილმა მოჯირითე ქალმა – მერი ცანავამ.

„ერთ მშვენიერ დღეს ცირკიდან მოვიდნენ „ჩემი" ცხენების საყიდლად. ირაკლი ყანჩელი ქართველ მოჯირითეთა დასს აყალიბებდა. მეც შემომთავაზა მუშაობა. ეს სანახაობა მოსკოვში ნანახი მქონდა და მომწონდა, თანაც ორფეხა მეგობართან განშორებას ყველაფერი მერჩია და დავთანხმდი. 1961 წლის 29 აპრილს ჩემი პრემიერა შედგა თბილისის ცირკში..." იგონებს ქალბატონი ნანი

ამავე წელს ტა'შკენტ'ში მელქაძემ ცხენის ქვეშ გაძრომა ახვეული თვალებით აითვისა. ქერიმ ყარზიევმა, მოჯირითეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მოსკოვის „გოსცირკს" უდეპეშა – „რომ ქართული ცირკის მოჯირითეთა ჯგუფის წევრმა ქალმა – პირველად მსოფლიოში გააკეთა ურთულესი ილეთი, ჩემი სახელი არც კი უხსენებია"... იხსენებს ქალბატონი ნანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომში მან გააერთიანა ეს ნომერი ცეცხლის დაბრკოლებების გადალახვით. ეს იყო ურთულესი ოლეთები, რომელიც ჯერ არცეთ მამაკაცს არ შეუსრულებია. სწორედ ამან განაპირობა ცირკის ისტორიაში ის იშვიათი წარმატებანი, ზედიზედ რომ მოჰქონდა მის გასტროლებს ხაზდვარგარეთ. დაუცხრომელი ამლოდისმენტებით ეგებებოდა ყოველ მის გამოსვლას აღფრთოვანებული მაყურებელი: – 1966 წელს პოლონეთში, 1967 წელს საფრანგეთში, 1975 წელს ჩეხოსლოვაკიაში, 1978 წელს ბულგარეთში და ყოფილი საბჭოეთის ქალაქებში...

წიგნზე მუშაობისას ქალბატონ ნანასთან ხშირი შეხვედრები მქონდა. ერთხელ სამუშაო ოთახში რომ შეეედი ის რამაზ გარშაულაშვილს – ქართული ცირკის წამყვან მსახიობს ნარდს ეთამაშებოდა ჩვეული აზარტით. მისალმების შემდეგ თამაში შეაჩერა, არ გამოპარვია ჩემი ამაღლებული განწყობა. საერთოდ ქალბატონ ნანას ვერაფერს ვერ გამოაპარებს კაცი... (ყოველი შემთხვევისთვის მე ასეთი წარმოდგენა დამრჩა მასზე). ვუთხარი: – შიკემ (– ასე ეძახიან ვეტერან მოჯირითეს, კეთილშობილ და ყველასათვის საყვარელ ადამიანს – ედუარდ ფარსადანიშვილს) მომიყვა მან და აწ გარდაცვლილმა სანდრო დადეშქელიანმა – სანდრო თედიაშვილს – საქართველოს სახალხო არტისტს როგორ შეაჯამეს თავისივე გაწვრთნილი „პარტნიორი" მამალი და როგორ ეძებდა იგი მას მეორე დღეს. ამაზე ნანამ ჩაიცინა და მითხრა, ეგ არაფერია, მოსკოვში ცნობილ ჯამბაზს – კარანდაშს თავისივე გაწვრთნილი გოჭი შეეაწყვეინე და ზედ კარგადაც ვაქეიფეო...

ნანა მელქაძის ხახელი საცირკო ფართო რეკლამებისა და პრესის ხშირი სტუმარი გახდა. მიღებული აქვს ძრაველი ქების სიგელი და არის არაერთი საცირკო ფესტივალის დიპლომანტი. 1974-75

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში დაჯილდოვდა სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშნით. ეს დაუღალავი მხედარი 1961 წლიდან ატარებს საგასტროლო მოგზაურობებს საბჭოთა კავშირისა და სახლვარგარეთის ქალაქებში... ყოველი მისი გამოხვლა საცირკო ხელოვნების ტრიუმფი იყო. მისთვის სახელისა და დიდების მომტანი. ნ. მელქაძის ყველაზე დიდი დამსახურება ქართული და აგრეთვე ყოფილი საკავშირო საცირკო ხელოვნების წინაშე, რამაც ესოდენ დიდი პოპულარობა და საქვეყნოდ სახელი მოუპოვა. მან პირველმა ჩამოაყალიბა „ქართველ მოჯირითე ქალთა" ჯგუფი.

თავის საქმეზე ფანატურად შეყვარებულმა ნანა მელქაძემ ოჯახი ვერ შექმნა, უბრალოდ ვერ მოიცალა მისთვის... არადა როდის მოიცლიდა, როდესაც მის გვერდით უდალატო ოთფეხა მეგობრები იყვნენ... აი რას ბრძანებს ქალბატონი ნანა: — „საერთოდ, ჩემს პროფესიაში უმძიმესი მომენტია, როდესაც ცხენი რომ კვდება... ის ნამდვილი მეგობარია ეთ გვიყვარს, სამწუხაროდ, ხშირად გვიწევს მეგობრის სიკვდილის ყურება. ცხენი ყველაფერს გრძნობს. თბილი თუ არა ხარ, თუ არ შეგიყვარა... წყენას იმახსოვრებს. ცუდი ცხენები არ არსებობენ, ცუდებად ცუდი ადამიანები ხდებიან. როგორსაც გაზრდი, ისეთი იქნება. რამე თუ დააშავა, აუცილებელი არ არის სცემო, მისთვის ხმის ინტონაციითაც გასაგებია ყველაფერი. — ადამიანს შეუძლია, გიღალატოს, ცხენი არ გიღალატებს! ცხენი ბევრი გამიხედნავს, ჩემთვის ეს რთული არ იყო. თუ ჩამოვარდი, ცხენი ეცდება, ფეხი არ დაგაბიჯოს. — ის რა მოჯირითეა, რომელიც არ დაიმტვრა? მეც ხშირად დავმტვრეულვარ — ფეხი, ხელი, ნეკნები, თავი... გაფრთხილება არ ვიცოდი, ეს კი ძალიან ცუდია. აი, ბოლოს გამოჩნდა ყველაფერი... ერთხელაც კოსტრომაში ვიღაც მაყურებელმა ცხენს ხელი აუქნია და დააფრთხო. მე ამ დროს გაჭენებულ; ცხენზე ვიჯექი. ცხენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეშინდა და გადახტა. მე ბარიერზე დავეცი და ნეკნები ჩაეიმტვრიე. გამიტანეს, რა თქმა უნდა. საავადმყოფოში ბიჭები მოვიდნენ – ცხენი საჭმელს აღარ ჭამსო. მე არ დავრჩი საავადმყოფოში – შემიხვიეს, ხელწერილი დამაწერინეს და წამოვედი. თემური ერქვა იმ ცხენს. თემურ, შვილო, აქ ვარ მეთქი. დაიწყო ჭიხვინი. ახლა თავი არ დამადო, დანგრეული ვარ-მეთქი. გაცვერდა. მიყურებს და ტირის. მე ვუთხარი, ახლავე საჭმელს თუ არ შეჭამ, მე ისევ წავალ-მეთქი. როგორც ადამიანს ისე ველაპარაკებოდი... – ცხენი ძალიან ამაყია, თუ ტაში და ოვაცია შეუყვარდა, თავი უკვე მსახიობად მოაქვს. თავის მოწონება იციან."

სიერთოდ ქალბატონ ნინას ადარდებს და ძლიერ განიცდის რომ „ქართველებმა არ დაჰკარგონ თავიანთი მეობა. არ გადაგვარდნენ, არ დაიეიწყონ სამშობლოზე ფიქრი. რატომ უნდა იყოს ქართველთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გასული და იქ ეწყოდეს მონურ შრომას? იმიტომ, რომ აქაურმა ხუთმა პროცენტმა კარგად იცხოვროს? მას ტკივა გული დაქუცმაცებული საქართველოს ხელოვნურად შექმნილ პრობლემებზე...

ედუარდ („შიკე") ფარსადანიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი. – შიკე დაართქვეს იმის გამო რომ ბრწყინვალედ ფლობს სამზარეულოს სიიდუმლოებას, „სოიუზგოსცირკის" ყოფილი მსახიობები აღტაცებულნი ამბობდნენ: – „პროსტო ედიკ შიკა გატოვიტ" და წავიდა აქედან მოყოლებული, ზედმეტი სახელის შერქმევა. ასე დაერქვა ყველასათვის საყვარელ მსახიობს – მოჯირითეს, კარგ მედოლეს და მომღერალს – შიკე, მგონი მისი ნამდვილი სახელი და გვარი „მიავიწყდათ" კიდეც...

წლების მანძილზე ცირკის არენაზე სახელს უთქვამდა ქართველ მოჯირითედა სკოლას. სად არ იყო და რა არ გადახდა თავს. ცხოვრების მანძილზე. არ უყვარს საუბარი. მან ბევრი რამ მიამბო ქართული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასის შესახებ, რაც ძალზე წამადგა წიგნზე მუშაობისას. იგი დღესაც მთელი არსებით ცირკთანაა დაკავშირებული, ცირკის სასტუმრო ერთი ოთახი აქვს გამოყოფილი და ფაქტიურად იქ ცხოვრობს... აქვე მუშაობს როგორც მომსახურე პერსონალი.

და ბოლოს ქალბატონ ნანა მელქაძეს მივმართო, ქალბატონს რომელმაც – ოთხი ათეული წლის წინ შეკაზმა თავისი ბედაური, მასზე ამხედრებულმა შემოიარა მთელი მსოფლიო და სახელი გაუთქვა ქართულ საცხენოსნო სკოლას. – „ქართული ცირკში დღეს არსებული პრობლემების მიუხედავად ფარ-ხმალი არ დამიყრია, შეუძლებელია, ეს მდგომარეობა უსასრულოდ გაგრძელდეს. – ისევ გამობრწყინდება ქართული დასი და არ შეიძლება რომ არ gamo br wyi nd es!" ღმერთმა გისმინოთ ქალბატონო ნანა!

7 სექტემბერი 2010 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ცირკის ყველაზე ცნობილი მსახიობები
დგანან: იური ნიმახიძე, ედუარდ ფარსადანიშვილი, ნანა ძელქაძე, ასპორ კუტალაძე და გურამ გარსევანიშვილი
სხედან: სანდრო დადეშქელიანი, ალექსანდრე (სანდრო) თედიაშვილი და ნანა ბერიძე

ორიგინალური ჟანრი სანდრო დადეშქელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამბაზი
გურამ ნიკოლაიშვილი

ჯამბაზ-ექსცენტრიკები ალეკო და დენის დაშვილები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო გოლოვაძე

მხატვრული-
აკრობატული ჯგუფი
ხვიტლანა გოლოვასის
ხელმძღვანელობით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოჯირითე ცხენისაგან ეგუეფი ქერიმ ეარზიევის
სელმძღვანელობით

იალუზიონისტი რამაზ გარშაულამეილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალისახი აკრობატები:
ყაფა ნატრაშვილი
და
ალბერტ ოგანეზოვი

ფეხბურთელი
შურაბ
ვადაჭკორია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექვილიბრისტი მიხეილ ლალაშვილი

ჟონგლიორი
ვალერი
გარსევანიშვილი

აკრობატული ეტიუდი ნანა ბერიძე,
გურამ გარსევანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბრიკი
სანდრო თუდაშვილი

ფაბრიკი
ბესიკ ყალაბაშვილი

ფაბრიკი; ძაღლების მწვრთნელი ალექსი ცხომელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძალოსანი ყოფილი მერაბ მიქაბაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფიქრებში
მგრაბ დანელია, ანზორ ხოჯაშვილი და ალიოშა ჩქოტუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსანი ნანა მელქაძე

აკრობატები კამკენტელ თენგიზ ხაჰარაძის სელექციონელობით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ და
ლუდმილა
რატიანები
ოჯახურად ერთად

კორდაკოლახი
ლარისა ალდგომელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალოსახი აკროობატები: ალექსანდრე (ლექსო) მჭედლიშვილის
სელაშტეანელობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან 3
მოკლედ ცირკზე 8
ჯამბაზები 28
ილუზიონისტები 36
ძალოვანი აკრობატები 43
მოჯირითეები 50

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი – რეზო მხატვარი
კორექტორები – მზევინარ ძირკვაძე,
ნანა დიასამიძე
ოპერატორები – შორენა მჟავია,
ზურაბ გიორგობიანი

ტირაჟი – 100 ცალი

ოერგიზ ცეცხლაშვილი — პროფესიით პედაგოგი, ოდესაც ეროვნული ოფიცერი. მიღებული აქვს სამხედრო განათლება. 2002 წელს გამოსცა სამწერალი ალბომი და უმალ მოიხვეჭა ნაყოფიერი შემოქმედის იმიჯი. მან მკითხველს არაერთი საინტერესო, სხვადასხვა ფორმის ნაწარმოები შესთავაზა. ხედავთ, გამოსცა ისტორიულ-პერიოდული პოემები „აკირეკინოსანი", „ჩემი ლელე-ლურდანი", „უმეფობის ეპოქ", ლექსები, ლიბრეტი „დაკარგული ალმასი". ისინი ავტორმა ქვეყნისადმი ერთგულების სხვადასხვა ხიდლებსა და ქალაქებში ნამღერია. რასაც დიდი რეზონანსი მოყვა. ო. ცეცხლაშვილის ლეკვნლს ხალხურად აშენებენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა სამეფლებები.

გარდა ზემოთქმულისა ის პიესებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, რაც პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. გარდა ამისა გამოცემული აქვს წიგნები: „ძმაცული ნგმო ხალხვნ", „ჩემი სიმღერე". „ხმა", ამ რამდენიმე თვის წინათ მან ნიუელებად აკინძული თავგადასავალი სახელწოდებით — „ჩვენი დროის დე-კამერონის" პირველი ნაწილი გამოსცა, რომელშიც მკითხველის ყურადღება დაიმსახურა. შემდეგ ამ კრებულის მეორე ნაწილი გამოვიდა, რომელშიც აღწერილია მთავარი პერსონაჟის თავგადასავალი.

ახლახან მკითხველს მეორეი წიგნი — „ბამცულიანთაგან თავდადებული" შესთავაზა, რომელშიც დიდი ყელის ხიმშიაშვილის შვილიშვილის, შერიფ ხიმშიაშვილის ამ დიდ ლეკვნლზე საუბრობს, ავარის ოსმალეთის საბოლოოდ ეროვნული მოხრობიდან გამოხსნისა და ხიმშიბლოსანთაგან დაბრუნების საქმეში რიგ მიუძღვის.

ჯემალ ხოფერია,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი